- მომსახურებას ჩამდინარე წყლების მოცილებით, ჩვეულებრივ ისეთი მოწყობილობების გამოყენებით, როგორიცაა ჩასაშვები მილები, საკანალიზაციო მილები ან სადრენაჟო მილები
- მომსახურებას ჩამდინარე წყლების გასუფთავებით (საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების, საცურაო აუზების წყლების და მისთ.

ჩათვლით) ისეთი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა გათხევადება, გაცრა, ფილტრვა, სედიმენტაცია და ა.შ.
- მომსახურებას საკანალიზაციო სისტემების და სადრენაჟო მილების ტექნიკური მომსახურებით და გაწმენდით, საკანალიზაციო სისტემების არმატურის ჩათვლით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას წყლის შეგროვებით ან გაწმენდით, იხ. 36.00
- მომსახურებას წყალსადენებით წყლის განაწილებით, იხ. 36.00.20
- მომსახურებას საკანალიზაციო ქსელების მშენებლობით, რემონტით და რეკონსტრუქციით, იხ. 42.21.2

37.00.12 მომსახურება ჩასადენი ჭების და სეპტიკური რეზერვუარების დამუშავებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ჩასადენი ჭების და სეპტიკური რეზერვუარების დაცლას და გაწმენდას
- ქიმიური ტუალეტების მომსახურებას

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ზედაპირული და გრუნტის წყლების გაუსნებოვნებით დაბინძურებულ ადგილებში, იხ. 39.00.11 და 39.00.12 შესაბამისად
- მომსახურებას სადრენაჟო მილების გაწმენდით და გარღვევით შენობებში, იხ. 43.22.11

37.00.2 ჩამდინარე წყლების შლამი

37.00.20 ჩამდინარე წყლების შლამი

38 მომსახურება ნარჩენების შეგროვებით, დამუშავებით და მოცილებით; მომსახურება მასალების უტილიზაციით

38.1 ნარჩენები; მომსახურება ნარჩენების შეგროვებით

38.11 არასახიფათო ნარჩენები; მომსახურება არასახიფათო ნარჩენების შეგროვებით

ეს კლასი აგრეთვე შეიცავს:
- მომსახურებას სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვებით
- მომსახურებას სამშენებლო ნაგვის შეგროვებით და მოცილებით, როგორიცაა ჯაგრისები და ფუნჯები და სხვა სამშენებლო ნაგავი
- მომსახურებას ტექსტილის წარმოების ნარჩენების შეგროვებით

38.11.1 მომსახურება ხელმეორედ გამოსაყენებლად ვარგისი არასახიფათო ნარჩენების შეგროვებით

38.11.11 მომსახურება საქალაქო მეურნეობის ხელმეორედ გამოსაყენებლად ვარგისი არასახიფათო ნარჩენების შეგროვებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ნარჩენების შეგროვებით, სპეციალურად განკუთვნილს ხელმეორედ გამოსაყენებლად ვარგისი არასახიფათო მასალების შესაგროვებლად:

- მომსახურებას დახარისხებული ან შერეული ნარჩენების შეგროვებით, როგორიცაა მუყაოს, ქაღალდის, პლასტმასების, მინის, ალუმინის,

ფოლადის და ორგანული ნაგვის ნარჩენები, საცხოვრებელი შენობებიდან, ქუჩის სანაგვე კონტეინერების, ეზოს სანაგვე კონტეინერების ჩათვლით ან ავტომატურ შეგროვებას რეგულარული ან მცოცავი გრაფიკით

38.11.19 მომსახურება გამოსაყენებლად ვარგისი სხვა არასახიფათო ნარჩენების შეგროვებით, სხვა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ნარჩენების შეგროვებით, სპეციალურად განკუთვნილს ხელმეორედ გამოსაყენებლად ვარგისი არასახიფათო მასალების შესაგროვებლად:

- მომსახურებას დახარისხებული ან შერეული ნარჩენების შეგროვებით, როგორიცაა მუყაოს, ქაღალდის, პლასტმასის, მინის, ალუმინის, ფოლადის და სხვა რეციკლებადი მასალების ნარჩენები არასაცხოვრებელი ობიექტებიდან, რეგულარული ან მცოცავი გრაფიკით

38.11.2 მომსახურება ხელმეორედ გამოსაყენებლად უვარგისი არასახიფათო ნარჩენების შეგროვებით

38.11.21 მომსახურება საქალაქო მეურნეობის ხელმეორედ გამოსაყენებლად უვარგისი არასახიფათო ნარჩენების შეგროვებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ნარჩენების, ნაშთების და შერეული მასალების ერთიან შეგროვებას საცხოვრებელი შენობებიდან, ქუჩის სანაგვე კონტეინერების, ეზოების სანაგვე კონტეინერების ჩათვლით ან ავტომატურ შეგროვებას რეგულარული ან მცოცავი გრაფიკით

38.11.29 მომსახურება გამოსაყენებლად უვარგისი სხვა არასახიფათო ნარჩენების შეგროვებით, სხვა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ნარჩენების, ნაშთების და შერეული მასალების ერთიან შეგროვებას არასაცხოვრებელი ობიექტებიდან, რეგულარული ან მცოცავი გრაფიკით

38.11.3 ხელმეორედ გამოსაყენებლად უვარგისი არასახიფათო ნარჩენები, შეგროვებული

38.11.31 საქალაქო მეურნეობის ხელმეორედ გამოსაყენებლად უვარგისი არასახიფათო ნარჩენები, შეგროვებული

38.11.39 ხელმეორედ გამოსაყენებლად სხვა უვარგისი არასახიფათო ნარჩენები

38.11.4 ნამტვრევები, დემონტაჟისთვის

38.11.41 გემები და სხვა მცურავი კონსტრუქციები, დასაშლელი

38.11.49 ნამტვრევები, გემების და მცურავი კონსტრუქციების გარდა, დემონტაჟისთვის

38.11.5 სხვა რეციკლებადი არასახიფათო ნარჩენები, შეგროვებული

38.11.51 მინის ნარჩენები

38.11.52 ქაღალდის და მუყაოს ნარჩენები

38.11.53 ნახმარი პნევმატური სალტეები რეზინის

38.11.54 რეზინის სხვა ნარჩენები

38.11.55 პლასტმასების ნარჩენები

38.11.56 ტექსტილის ნარჩენები

38.11.57 ტყავის ნარჩენები

38.11.58 ლითონის არასახიფათო ნარჩენები

38.11.59 ხელმეორედ გამოსაყენებლად ვარგისი სხვა არასახიფათო ნარჩენები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს:
- შერეულ შეგროვებულ მასალებს, ხელმეორედ გადამუშავებისთვის განკუთვნილს, მაგალითად, ლითონის და პლასტმასების შერეულ ნარჩენებს

38.11.6 არასახიფათო ნარჩენების გადასატვირთი საშუალებების მომსახურება

38.11.61 ხელმეორედ გამოსაყენებლად ვარგისი არასახიფათო ნარჩენების გადასატვირთი საშუალებების მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მოწყობილობების ექსპლუატაციას, სადაც ხდება ხელმეორედ გამოსაყენებლად ვარგისი მასალების დახარისხება ცალკეულ კატეგორიებად, იხ. 38.32.1

38.11.69 სხვა არასახიფათო ნარჩენების გადასატვირთი საშუალებების მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას არასახიფათო ნარჩენების დამუშავებით საბოლოო მოცილებისთვის, იხ. 38.21.10

38.12 სახიფათო ნარჩენები; მომსახურება სახიფათო ნარჩენების შეგროვებით

38.12.1 მომსახურება სახიფათო ნარჩენების შეგროვებით

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას დაბინძურებული შენობების, მოპოვების ადგილების, ნიადაგის, გრუნტის წყლების დამუშავებით და გაწმენდით, მაგალითად, მომსახურებას აზბესტის მოცილებით, იხ. 39.00.1

38.12.11 მომსახურება სახიფათო სამედიცინო და სხვა ბიოლოგიური სახიფათო ნარჩენების შეგროვებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სპეციალურად განკუთვნილს ნარჩენების შესაგროვებლად:
    - პათოლოგიური ნარჩენების, როგორიცაა ანატომიური ნარჩენები, არაანატომიური ნარჩენები, ბასრი ნარჩენების, როგორიცაა ნემსები და სკალპელები
    - სხვა ბიოლოგიურ-ინფექციური ნარჩენების საავადმყოფოებიდან, სამედიცინო კაბინეტებიდან, სტომატოლოგიური კაბინეტებიდან და სამედიცინო ლაბორატორიებიდან
    - სხვა ბიოლოგიური სახიფათო ნარჩენების არასაცხოვრებელი ობიექტებიდან

38.12.12 მომსახურება სხვა სახიფათო სამრეწველო ნარჩენების შეგროვებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სპეციალურად განკუთვნილს ნარჩენების შესაგროვებლად:
. სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო და ბიოლოგიურის გარდა), რომლებიც ვნებენ ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს და რომლებიც საჭიროებენ კანონმდებლობით დადგენილ დამუშავების სპეციალურ მეთოდებს ან შესაბამის ნორმებს, მაგალითად, ბირთვული ნარჩენების, ნამუშევარი ძრავას ან მანქანის ზეთების მცურავი დოკებიდან ან ავტოფარეხებდან

38.12.13 მომსახურება სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ნარჩენების შეგროვებით, სპეციალურად განკუთვნილს შესაგროვებლად:

- საყოფაცხოვრებო სახიფათო ნარჩენების, რომლებიც ვნებენ ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს და რომლებიც საჭიროებენ კანონმდებლობით დადგენილ დამუშავების სპეციალურ მეთოდებს ან შესაბამის ნორმებს, მაგალითად, ნამუშევარი ბატარეები

38.12.2 სახიფათო ნარჩენები, შეგროვებული

38.12.21 ბირთვული რეაქტორების ნამუშევარი (ირადიაციული) თბოელემენტები

38.12.22 ფარმაცევტული ნარჩენები

38.12.23 სხვა სამედიცინო სახიფათო ნარჩენები

38.12.24 სახიფათო ქიმიური ნარჩენები

38.12.25 ზეთების ნარჩენები

38.12.26 ლითონების სახიფათო ნარჩენები

38.12.27 პირველადი ელემენტების, პირველადი ბატარეების და ელექტრული აკუმულატორების ნარჩენები და ჯართი

38.12.29 სხვა სხიფათო ნარჩენები

38.12.3 სახიფათო ნარჩენების გადასატვირთი საშუალებების მომსახურება

38.12.30 სახიფათო ნარჩენების გადასატვირთი საშუალებების მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მეორადი ნედლეულის შეგროვების ცენტრების, გადასატვირთი სადგურების და საკონტეინერო სადგურების მომსახურებას

38.2 მომსახურება ნარჩენების დამუშავებით და მოცილებით

38.21 მომსახურება არასახიფათო ნარჩენების დამუშავებით და მოცილებით

38.21.1 მომსახურება არასახიფათო ნარჩენების დამუშავებით საბოლოო მოცილებისთვის

38.21.10 მომსახურება არასახიფათო ნარჩენების დამუშავებით საბოლოო მოცილებისთვის

38.21.2 მომსახურება არასახიფათო ნარჩენების მოცილებით

38.21.21 სანიტარული ნაგავსაყრელების მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- არასახიფათო ნარჩენების ლიკვიდირებას და მათ ჩამარხვას სანიტარულ ნაგავსაყრელებზე, რომლებიც შეესაბამებიან სანიტარული ნაგავსაყრელის კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს ან რეგულაციებს, მაგალითად, გაჟონვის თავიდან ასაცილებელი საშუალებებით და ა.შ.

38.21.22 სხვა ნაგავსაყრელების მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- არასახიფათო ნარჩენების ლიკვიდირებას ან ჩამარხვას ნაგავსაყრელებზე, სანიტარული ნაგავსაყრელების გარდა

38.21.23 მომსახურება არასახიფათო ნარჩენების დაწვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- არასახიფათო ნარჩენების დაწვას დანადგარზე, რომელიც შეესაბამება არასახიფათო ნარჩენების დაწვის სამართლებრივ ნორმებს და მოთხოვნებს

38.21.29 მომსახურება სხვა არასახიფათო ნარჩენების მოცილებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს მომსახურებას სხვა არასახიფათო ნარჩენების მოცილებით, როგორიცაა:
- მომსახურება სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების მოცულობის ქიმიური ან ბიოლოგიური მეთოდებით შემცირებით და დამუშავების მსგავსი მომსახურებები
- მომსახურება კომპოსტის წარმოებით
- მომსახურება სასოფლო-სამეურნეო და სხვა ნარჩენების გადამუშავებით ბიოაირის გამოსამუშავებლად

38.21.3 ორგანული გამხსნელების ნარჩენები

38.21.30 ორგანული გამხსნელების ნარჩენები

38.21.4 ნაცარი და ნარჩენების ნამწვი

38.21.40 ნაცარი და ნარჩენების ნამწვი

38.22 მომსახურება სახიფათო ნარჩენების დამუშავებით და მოცილებით

38.22.1 მომსახურება ბირთვული და სხვა სახიფათო ნარჩენების დამუშავებით

38.22.11 მომსახურება ბირთვული ნარჩენების დამუშავებით

38.22.19 სხვა მომსახურება სახიფათო ნარჩენების დამუშავებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- დამუშავებას სახიფათო ნარჩენების შემცირების, განადგურების ან გარდაქმნის მიზნით

გამოსაყენებელი პროცესები მოიცავენ ბიოლოგურ, ქიმიურ და/ან ფიზიკურ პროცედურებს ან წვას. ამ პროცედურების გამოყენების შედეგად შეიძლება მიღებული იქნეს მოსაცილებლად ვარგისი ნარჩომები ან მიღებული იქნეს რეციკლებადი მასალები

38.22.2 მომსახურება ბირთვული და სხვა სახიფათო ნარჩენების მოცილებით

38.22.21 მომსახურება ბირთვული ნარჩენების მოცილებით

38.22.29 სხვა მომსახურება სახიფათო ნარჩენების მოცილებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- მომსახურებას სახიფათო ნარჩენების მოცილებით დანადგარზე, რომელიც შეესაბამება სახიფათო ნარჩენების მოცილების სამართლებრივ ნორმებს, როგორიცაა დამტკიცებული ობიექტები ან ნაგავსაყრელები ნარჩენების კონტროლირებადი განთავსებისთვის

38.3 მომსახურება ნარჩენების უტილიზაციით; მეორადი ნედლეული

38.31 მომსახურება ნატეხების დემონტაჟით

38.31.1 მომსახურება ნატეხების დემონტაჟით

38.31.11 მომსახურება გემების დაშლით

38.31.12 მომსახურება ნატეხების დემონტაჟით, გემების და მცურავი კონსტრუქციების გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ნატეხების დემონტაჟით, როგორიცაა ავტომობილების, კომპიუტერების და ა.შ. ნატეხები, უტილიზაციისთვის გამოსაყენებელი ცალკეული მასალების ამოსაღებად

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას გემების და სხვა მცურავი კონსტრუქციების დაშლით, იხ. 38.31.11

38.32 მომსახურება დახარისხებული მასალების უტილიზაციით; მეორადი ნედლეული

38.32.1 მომსახურება დახარისხებული მასალების უტილიზაციით

მოცემული კატეგორია შეიცავს დახარისხებული მასალების უტილიზაციას გასამრჯელოს ან კონტრაქტის საფუძველზე

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ნარჩენების და ჯართის საბითუმო ვაჭრობით, შეგროვების, დახარისხების, შეფუთვის, ვაჭრობის და ა.შ. ჩათვლით, სამრეწველო პროცესების გამოყენების გარეშე, იხ. 46.77.10

38.32.11 მომსახურება დახარისხებული ლითონის მასალების უტილიზაციით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ლითონის ნარჩენების და ჯართის და ნახმარი ან უხმარი ლითონის ნაკეთების გადამუშავებით მეორად ნედლეულად.
რესურსების სახით ჩვეულებრივ გამოიყენება ნარჩენები და ჯართი, დახარისხებული ან დაუხარისხებელი, მაგრამ ყველა შემთხვევაში გამოუსადეგარი შემდგომი პირდაპირი გამოყენებისთვის სამრეწველო პროცესში, მაშინ როდესაც შედეგი ვარგისია შემდგომი დამუშავებისთვის და ამ შემთხვევაში უნდა ითვლებოდეს შუალედურ პროდუქტად. ეს მოითხოვს მექანიკურ ან ქიმიურ პროცესს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს:

- ლითონის ნარჩენების მექანიკური მსხვრევა (დაქუცმაცება), როგორიცაა ნახმარი მსუბუქი ავტომობილები, სარეცხი მანქანები, ველოსიპედები და ა.შ., შემდგომი დახარისხებით და დაყოფით
- მსხვილი ლითონის ნაკეთების მექანიკური შეკუმშვა, როგორიცაა რკინიგზის ვაგონები
- ნახმარი საგნების დაშლა, როგორიცაა მსუბუქი ავტომობილები, მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი ნაწილების მისაღებად

- ნახმარი საგნების დაშლა, როგორიცაა მსუბუქი ავტომობილები ან მაცივრები, მავნე ნარჩენების (ზეთების, მაცივებელი სითხეების, სათბობის და ა.შ.) ამოღებას

38.32.12 მომსახურება დახარისხებული არალითონური მასალების უტილიზაციით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ნახმარი ან უხმარი არალითონური ნარჩენების და ჯართის გადამუშავებით მეორად ნედლეულად. რესურსების სახით ჩვეულებრივ გამოიყენება ნარჩენები და ჯართი, დახარისხებული ან დაუხარისხებელი, მაგრამ ყველა შემთხვევაში გამოუსადეგარი შემდგომი პირდაპირი გამოყენებისთვის სამრეწველო პროცესში, მაშინ როცა შედეგი გამოიყენება შემდგომი დამუშავებისთვის და ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს შუალედურ პროდუქტად. ეს მოითხოვს მექანიკურ ან ქიმიურ პროცესს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს:
    - რეზინის ამოღება, მაგალითად, ნახმარი სალტეების ამოღება მეორადი ნედლეულის საწარმოებლად
    - პლასტმასების დახარისხება და გრანულირება მილებისთვის, საყვავილე ქოთნებისთვის, პალეტებისთვის და მისთ. მეორადი ნედლეულის საწარმოებლად
    - ქიმიური ნივთიერებების ამოღება ქიმიური ნარჩენებიდან
    - მინის მსხვრევა, წმენდა და დახარისხება
    - სხვა ნარჩენების მსხვრევა, წმენდა და დახარისხება, როგორიცაა სამშენებლო ნაგავი, მეორადი ნედლეულის საწარმოებლად

38.32.2 ლითონის მეორადი ნედლეული

38.32.21 ძვირფასი ლითონების მეორადი ნედლეული

38.32.22 შავი ლითონების მეორადი ნედლეული

38.32.23 სპილენძის მეორადი ნედლეული

38.32.24 ნიკელის მეორადი ნედლეული

38.32.25 ალუმინის მეორადი ნედლეული

38.32.29 სხვა ლითონების მეორადი ნედლეული

38.32.3 არალითონური მეორადი ნედლეული

38.32.31 მინის მეორადი ნედლეული

38.32.32 ქაღალდის და მუყაოს მეორადი ნედლეული

38.32.33 პლასტმასების მეორადი ნედლეული

38.32.34 რეზინის მეორადი ნედლეული

38.32.35 ტექსტილის მეორადი ნედლეული

38.32.39 სხვა არალითონური მეორადი ნედლეული

39 მომსახურება ნარჩენების რეკულტივაციით და სხვა მომსახურება ნარჩენების მართვით

39.0 მომსახურება ნარჩენების რეკულტივაციით და სხვა მომსახურება ნარჩენების მართვით

39.00 მომსახურება ნარჩენების რეკულტივაციით და სხვა მომსახურება ნარჩენების მართვით

მოცემული კლასი შეიცავს:
- მომსახურებას რეკულტივაციით, ანუ მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო ობიექტების ექსპლუატაციის ან ავარიის შედეგად წარმოშობილი დაბინძურების შედეგების მოცილებასთან. ამ მომსახურების მიზანია ნიადაგის, წყლის ან ჰაერის არსებული დაბინძურების მოცილება ან ლოკალიზება და ის უნდა გაწეული იქნეს დაბინძურების ადგილებში.

39.00.1 მომსახურება რეკულტივაციით და გაწმენდით

39.00.11 მომსახურება ნიადაგის და გრუნტის წყლების რეკულტივაციით და გაწმენდით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია დაბინძურების ადგილზე ნიადაგის და გრუნტის წყლების რეკულტივაციის შესახებ დამტკიცებული გეგმების განხორციელებასთან კანონმდებლობით ან რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს:
- შახტების ჩამოწმენდას და მისთ. (დეტონაციის მეთოდის ჩათვლით)

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- წყლის გასუფთავებას წყალმომარაგების მიზნით, იხ. 36.00.20

39.00.12 მომსახურება ზედაპირული წყლების რეკულტივაციით და გაწმენდით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია დაბინძურების ადგილზე ზედაპირული წყლების რეკულტივაციის შესახებ დამტკიცებული გეგმების განხორციელებასთან კანონმდებლობით ან რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

39.00.13 მომსახურება ჰაერის რეკულტივაციით და გაწმენდით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია დაბინძურების ადგილზე ჰაერის რეკულტივაციის შესახებ დამტკიცებული გეგმების განხორციელებასთან კანონმდებლობით ან რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

39.00.14 მომსახურება შენობების გაუსნებოვნებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- გაუსნებოვნების გეგმების შემუშავებას და განხორციელებას, რომლის შედეგად შენობებში მოცილების, განადგურების, ლოკალიზაციის ან სხვა მეთოდების საშუალებით მცირდება ისეთი დამბინძურებლების მოცულობა, როგორიცაა აზბესტი, ტყვია, რადონი ან სხვ.

39.00.2 სხვა მომსახურება რეკულტივაციით და სპეციალიზებული მომსახურება გარემოს დაბინძურების კონტროლით

39.00.21 მომსახურება დაბინძურებული ადგილების ლოკალიზაციით, კონტროლით და ზედამხედველობით და სხვა მომსახურება დაბინძურებული ადგილების რეკულტივაციით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია დაბინძურებულ ადგილებში დამატებითი ან უფრო მასშტაბური დაბინძურების თავიდან აცილებასთან
- არაკონტროლირებადი დამაბინძურებელი ნივთიერებების დაბინძურებული ადგილიდან გადაადგილების თავიდან აცილებას
- დაბინძურებულ ადგილებში დაკვირვებას რეკულტივაციის საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრისთვის
- დაბინძურებულ ადგილებში შეღწევაზე კონტროლი
- სხვა მომსახურებას დაბინძურებული ადგილების რეკულტივაციით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

39.00.22 სხვა მომსახურება რეკულტივაციით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სხვა მომსახურებას რეკულტივაციით, როგორიცაა:
  - მომსახურება, დაკავშირებული საგანგებო ეკოლოგიურ სიტუაციებთან
  - სხვა მომსახურება რეკულტივაციით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლას, იხ. 01.61.10
- ქეჩების დაგვას, მორწყვას და ა.შ., იხ. 81.29.12

39.00.23 სხვა სპეციალიზებული მომსახურება გარემოს დაბინძურების კონტროლით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მუავურ ნარჩენებზე (“მუავურ წვიმებზე”) დაკვირვებით, მათი კონტროლით და ზარალის შეფასებით
- სხვა სპეციალიზებული მომსახურება გარემოს დაბინძურების კონტროლით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საკონსულტაციო მომსახურებას გარემოს დაცვის საკითხებში, იხ. 74.90.13

სექცია F შენობები და ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები

41 შენობები და ნაგებობები და შენობების და ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები

41.0 შენობები და ნაგებობები და შენობების და ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები

41.00 შენობები და ნაგებობები და შენობების და ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები

41.00.1 საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები

41.00.10 საცხოვრებელი შენობები და ნაგებობები

41.00.2 არასაცხოვრებელი შენობები და ნაგებობები

41.00.20 არასაცხოვრებელი შენობები და ნაგებობები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- შენობებს, რომლებიც გამოიყენება სამრეწველო საწარმოების სასაქონლო საწყობების და წარმოებისთვის და საამწყობო საქმიანობისთვის
- ფაბრიკებს, ქარხნებს და სახელოსნოებს
- შენობებს, რომლებიც გამოიყენება ვაჭრობისთვის, ძირითადად დაკავებულია სავაჭრო საქმიანობით ან ჩართულია ვაჭრობის და ვაჭრობისთვის განკუთვნილი სამუშაოების პროცესში
- შენობებს, რომლებიც ძირითადად გამოიყენება საბითუმო და საცალო ვაჭრობისთვის
- საოფისე შენობებს, საბანკო შენობებს, საჰაერო, ავტო- ან სარკინიგზო სადგურებს (ტერმინალებს), ავტოფარეხებს, ბენზინგასამართ სადგურებს და ტექნიკური მომსახურების სადგურებს
- დახურულ საცურაო აუზებს და სხვა დახურულ სპორტულ ნაგებობებს და დახურულ სტადიონებს (საციგურაო მოედნებს, ტანვარჯიშის დარბაზებს, დახურულ ჩოგბურთის კორტებს, ზოგადი დანიშნულების სპორტულ დარბაზებს, ელინგებს, კრივის რინგებს და ა.შ.)
- საზოგადეობრივ შენობებს სანახაობითი ღონისძიებების ჩასატარებლად, როგორიცაა კინოთეატრები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, საცეკვაო დარბაზები და ღამის კლუბები და ა.შ.
- ოტელებს, მოტელებს, სასტუმროებს, ჰოსტელებს, რესტორნებს და მსგავს შენობებს
- საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებს, როგორიცაა სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, არქივები და მუზეუმები
- ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების შენობებს, როგორიცაა საავადმყოფოები და სანატორიუმები
- სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველ არასაცხოვრებელ შენობებს, როგორიცაა რელიგიური დანიშნულების შენობები და ციხეები

41.00.3 საცხოვრებელი შენობების და ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები (ახალი ობიექტების სამშენებლო სამუშაოები, მინაშენები, გადასაკეთებელი და სარემონტო სამუშაოები)

41.00.30 საცხოვრებელი შენობების და ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები (ახალი ობიექტების სამშენებლო სამუშაოები, მინაშენები, გადასაკეთებელი და სარემონტო სამუშაოები)

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- შენობებისთვის სპეციალური რკინაბეტონის ან ფოლადის კარკასების მონტაჟის სამშენებლო სამუშაოებს, იხ. 43.99.40, 43.99.50

41.00.4 არასაცხოვრებელი შენობების სამშენებლო სამუშაოები (ახალი სამუშაოები, მინაშენები, გადასაკეთებელი და სარემონტო სამუშაოები)

41.00.40 არასაცხოვრებელი შენობების სამშენებლო სამუშაოები (ახალი სამუშაოები, მინაშენები, გადასაკეთებელი და სარემონტო სამუშაოები)

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სასაწყობო და სამრეწველო შენობების სამშენებლო სამუშაოებს (მაგალითად, წარმოებისთვის), მსუბუქი სამრეწველო შენობების და სასოფლო-სამეურნეო შენობების ასაგებად
- სამშენებლო სამუშაოებს სავაჭრო და ადმინისტრაციული შენობების ასაგებად, როგორიცაა საოფისე შენობები, საბანკო შენობები, საკონფერენციო დარბაზები, სავაჭრო ცენტრები, ფარეხები, ბენზინგასამართი სადგურები და ტექნიკური მომსახურების სადგურები ან საჰაერო, ავტო- და სარკინიგზო სადგურები (ტერმინალები)
- სამშენებლო სამუშაოებს საზოგადოებრივი შენობების ასაგებად სანახაობითი ღონისძიების ჩასატარებლად, როგორიცაა კინოთეატრები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, საცეკვაო დარბაზები და ღამის კლუბები
- სამშენებლო სამუშაოებს ოტელების, მოტელების, სასტუმროების, ჰოსტელების, რესტორნების და მსგავსი შენობების ასაგებად
- სამშენებლო სამუშაოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ასაგებად, როგორიცაა სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები, ლაბორატორიები, არქივები და მუზეუმები
- სამშენებლო სამუშაოებს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების შენობების ასაგებად, როგორიცაა საავადმყოფოები და სანატორიუმები
- სამშენებლო სამუშაოებს სპორტული და სარეკრეაციო დახურული შენობების და ნაგებობების ასაგებად (საციგურაო დარბაზების, ტანვარჯიშის დარბაზების, ჩოგბურთის დახურული კორტების, ზოგადი დანიშნულების სპორტული დარბაზების, ელინგების, კრივის რინგების და ა.შ.)
- სამშენებლო სამუშაოებს სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი არასაცხოვრებელი შენობების ასაგებად, როგორიცაა რელიგიური დანიშნულების შენობები და ციხეები

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სამშენებლო სამუშაოებს სამთო-მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობის ნაგებობების ასაგებად, შენობების გარდა, იხ. 42.99.21

42 ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები სამოქალაქო მშენებლობაში

მოცემული განყოფილება აგრეთვე შეიცავს სამოქალაქო მშენებლობის, პროექტების შემუშავებას

მოცემული განყოფილება არ შეიცავს შენობების სამშენებლო პროექტების შემუშავებას, იხ. 41.00

42.1 საავტომობილო გზები და რკინიგზა; საავტომობილო გზების და რკინიგზის სამშენებლო სამუშაოები

42.11 საავტომობილო გზები და ავტომაგისტრალები; საავტომობილო გზების და მაგისტრალების სამშენებლო სამუშაოები

42.11.1 ავტომაგსტრალები, საავტომობილო გზები, ქუჩები და სხვა საავტომობილო ან საქვეითო გზები და ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკები

42.11.10 ავტომაგსტრალები, საავტომობილო გზები, ქუჩები და სხვა საავტომობილო ან საქვეითო გზები და ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ავტომაგისტრალებს (მიწისზედა მაგისტრალების (ესტაკადების) გარდა), საავტომობილო გზებს, ქუჩებს და სხვა საავტომობილო და საქვეითო გზებს
- საგზაო დამცავ ჯებირებს და საავტომობილო სადგომებს მაგარი ზედაპირით, მისავალ გზებს საავტომობილო და საქვეითო გვირაბებს და მიწისქვეშა გადასასვლელებს და ხიდებს და ველოსიპედების ბილიკებს
- ასაფრენ-დასაჯდომ ბილიკებს, საჭესავალი გზების და აეროდრომების მსგავსი ნაგებობების ჩათვლით, შენობების გარდა

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მიწისზედა გზებს (ესტაკადებს), იხ. 42.13.10
- ავტოსაგზაო გვირაბებს, იხ. 42.13.10

42.11.2 ავტომაგისტრალების, საავტომობილო გზების, ქუჩების და სხვა საავტომობილო ან საქვეითო გზების და ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკების სამშენებლო სამუშაოები

42.11.20 ავტომაგისტრალების, საავტომობილო გზების, ქუჩების და სხვა საავტომობილო ან საქვეითო გზების და ასაფრენ-დასჯდომი ბილიკების სამშენებლო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ავტომაგისტრალების, საავტომობილო გზების, ქუჩების, სხვა საავტომობილო და საქვეითო გზების და ღია საავტომობილო სადგომების საფუძვლების მოწყობის სამშენებლო სამუშაოებს
- გზების და ავტოსადგომების ასფალტის, ბეტონის და მისთ. საფარის მშენებლობას ან რესტავრირებას
- საქვეითო ბილიკების, ტროტუარების, ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარის შესამცირებელი საგზაო ნაგებობების, ველოსიპედების ბილიკების და ა.შ. მშენებლობას
- დამცავი ბარიერების, გამყოფ ზოლზე დაბალი დამცავი კედლების, საგზაო ნიშნების და ა.შ. სამონტაჟო სამუშაოებს
- საგზაო მარშრუტების აგებას, ტექნიკურ მომსახურებას და საგზაო ნიშნების დაყენებას
- საავტომობილო გზების რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას
- სამშენებლო სამუშაოებს აეროდრომების ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკების მოსაწყობად, საფრენი აპარატების საჭესავალი ბილიკების და პერონის (ბაქნის) ჩათვლით
- სამღებრო სამუშაოებს საგზაო საფარების, საავტომობილო სადგომების და მსგავსი ზედაპირების მოსანიშნად

მოცემული ქვეკატეგორია არ შეცავს:
- სამშენებლო სამუშაოებს მიწისზედა საავტომობილო გზების (ესტაკადების), გვირაბების და ხიდების ასაგებად, იხ. 42.13.20

- მილსადენების და კაბელების (წყლის, კანალიზაციის, აირის, ელექტრობის, ტელეფონის და ა.შ.) გაყვანასთან დაკავშირებულ საგზაო სამუშაოებს, იხ. 42.21; 42.22
- სამშენებლო სამუშაოებს სარკინიგზო ელექტროხაზების გაყვანით, იხ. 42.22.21

42.12 მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზა; მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზის სამშენებლო სამუშაოები

42.12.1 მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზა

42.12.10 მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მიწის სარკინიგზო ვაკისებს მნიშვნელოვანი განფენილობის რკინიგზის და საგარეუბნო რკინიგზისთვის, ქუჩის ტრამვაების, მიწისქვეშა ან მიწისზედა ჩქაროსნული ტრანსპორტის საქალაქო სისტემებისთვის
- რკინიგზის საელექტრიფიკაციო კონსტრუქციებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- გვირაბებს მიწისქვეშა სარკინიგზო მოძრაობისთვის, იხ. 42.13.10

42.12.2 მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზის სამშენებლო სამუშაოები

42.12.20 მიწისზედა და მიწისქვეშა რკინიგზის სამშენებლო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- რკინიგზის სამშენებლო სამუშაოებს, მიწისქვეშა სარკინიგზო გზების ჩათვლით:
  - ბალასტის ფენის მოწყობის და რელსების დაგების სამუშაოებს
  - ისრული ამძრავების, ისრების და ლიანდაგების გადაკვეთის სამონტაჟო სამუშაოებს
  - რკინიგზის მართვის სისტემების და უსაფრთხოების სისტემების კონტროლის სამშენებლო სამუშაოებს
  - ფუნიკულიორების და საბაგირო გზების სისტემების სამშენებლო სამუშაოებს
- რკინიგზის სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მიწისქვეშა სარკინიგზო გზებისთვის გვირაბების გაყვანის სამშენებლო სამუშაოებს, იხ. 42.13.20

42.13 ხიდები და გვირაბები; ხიდების და გვირაბების სამშენებლო სამუშაოები

42.13.1 ხიდები და გვირაბები

42.13.10 ხიდები და გვირაბები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ხიდებს და ვიადუკებს ლითონის, ბეტონის ან სხვა მასალებისგან, ყველა ტიპის სახმელეთო ტრანსპორტის და ქვეითებისთვის
- მიწისზედა საავტომობილო გზებს (საავტომობილო ესტაკადებს) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის
- გვირაბებს

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს:

- გვირაბების კონსტრუქციებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწისქვეშა სარკინიგზო მოძრაობასთან

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ქუჩის საავტომობილო გვირაბებს და საქვეითო მიწისქვეშა გადასასვლელებს იხ. 42.11.10
- კონსტრუქციებს სამთო-მოპოვებითი მრეწველობისთვის, იხ. 42.99.11

42.13.2 ხიდების და გვირაბების სამშენებლო სამუშაოები

42.13.20 ხიდების და გვირაბების სამშენებლო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ავტომაგისტრალების, საავტომობილო გზების, რკინიგზის და აეროდრომების ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკების სამშენებლო სამუშაოებს, იხ. 42.11, 42.12
- ჰიდროტექნიკურ სამუშაოებს, იხ. 42.91
- ფოლადის სამშენებლო კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოებს, იხ. 43.99.50
- შახტების გაყვანის სამუშაოებს, იხ. 43.99.90

42.2 კომუნალური ობიექტების ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები

42.21 ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები სითხეებისთვის და აირებისთვის კომუნალური ობიექტების ასაგებად

42.21.1 კომუნალური ობიექტები სითხეებისთვის და აირებისთვის

42.21.11 მაგისტრალური მილსადენები სითხეებისთვის და აირებისთვის

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მაგისტრალურ მიწისზედა და წყალქვეშა მილსადენებს ნავთობპროდუქტების და აირის ტრანსპორტირებისთვის
- მაგისტრალურ მიწისზედა და წყალქვეშა მილსადენებს წყლის ან სხვა პროდუქტების ტრანსპორტირებისთვის

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მაგისტრალური მილსადენებით საქალაქო აირის ან წყლის გამანაწილებელ სისტემებს, იხ. 42.21.12

42.21.12 ადგილობრივი მილსადენები სითხეებისთვის და აირებისთვის

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ადგილობრივ მილსადენებს წყლის, ჩამდინარე წყლების და სხვა სითხეებისთვის და აირებისთვის

42.21.13 სარწყავი სისტემები (არხები); წყალსატარები და წყალსადენი კონსტრუქციები; წყალსაწმენდი ნაგებობები, ჩამდინარე წყლების საწმენდი ნაგებობები და სატუმბი სადგურები

42.21.2 სამშენებლო სამუშაოები სითხეების და აირების კომუნალური ობიექტების ასაგებად

მოცემული კატეგორია შეიცავს:
- ტრანშეების გამოთხრის სამუშაოებს, იხ. 43.12.12

42.21.21 სამშენებლო სამუშაოები მაგისტრალური მილსადენების გასაყვანად

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- სამშენებლო სამუშაოებს მიწისზედა, მიწისქვეშა და წყალქვეშა მილსადენების ასაგებად:
    - ნავთობის და აირის
    - წყლის, ჩამდინარე წყლების ან სასმელი წყლის
    - სხვა სითხეების

42.21.22 სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივი მილსადენების გასაყვანად, დამხმარე სამუშაოების ჩათვლით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სამშენებლო სამუშაოებს ადგილობრივი მილსადენების გასაყვანად, დამხმარე სამუშაოების ჩათვლით:
    - ჩამდინარე წყლების
    - ცხელი წყლის
    - აირის და ორთქლის
    - სხვა სითხეების და აირების

42.21.23 სარწყავი სისტემების (არხების), წყალსატარების და წყალსატარი კონსტრუქციების, წყალსაწმენდი ნაგებობების, ჩამდინარე წყლების საწმენდი ნაგებობების და სატუმბი სადგურების სამშენებლო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სამშენებლო სამუშაოებს მილსადენების და წყლის ჩამდინარე წყლების მაგისტრალების გასაყვანად, იხ. შესაბამისად 42.21.21 (მაგისტრალური) და 42.21.22 (ადგილობრივი)

42.21.24 წყლის ჭაბურღილების ბურღვა და სეპტიკური სისტემების სამონტაჟო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- წყალასაღები ჭაბურღილების ბურღვის ან წყლის ჭების ამოთხრის სამშენებლო სამუშაოებს, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ კვალიფიკაციას
- წყალასაღები ტუმბოების და წყალასაღები სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს
- სეპტიკური სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს

42.22 ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები ელექტრობის და სატელეკომუნიკაციო კომუნალური კონსტრუქციების ასაგებად

42.22.1 კომუნალური კონსტრუქციები ელექტრობის და ტელეკომუნიკაციისთვის

42.22.11 მაგისტრალური ელექტროგადამცემი და სატელეკომუნიკაციო ხაზები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მაგისტრალურ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს (კაბელებს)
- მაგისტრალურ მიწისზედა და წყალქვეშა სატელეკომუნიკაციო ხაზებს

42.22.12 ადგილობრივი ელექტროგადამცემი და სატელეკომუნიკაციო ხაზები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ადგილობრივ ელექტროგადამცემ ხაზებს
- სატელეკომუნიკაციო ხაზებს (კაბელებს)

- დამხმარე ნაგებობებს, როგორიცაა ელექტროგადამცემი ხაზების და საკომუნიკაციო ხაზების კოშკური საყრდენები, ანტენების და ტრანსფორმატორული სადგურების და ადგილობრივ საზღვრებში ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქვესადგურების ჩათვლით

42.22.13 ელექტროსადგურები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მძიმე ელექტროგენერატორულ სადგურებს და დანადგარებს ბირთვული ელექტროსადგურების დანადგარების ჩათვლით

42.22.2 სამშენებლო სამუშაოები კომუნალური ელექტრული და სატელეკომუნიკაციო ობიექტების ასაგებად

42.22.21 სამშენებლო მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების და ტელესაკომუნიკაციო ხაზების გასაყვანად

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მაგისტრალური მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს, სარკინიგზოს ჩათვლით
- მაგისტრალური წყალქვეშა ან მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს
- მაგისტრალური მიწისზედა სატელეკომუნიკაციო გადამცემი ხაზების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს
- მაგისტრალური წყალქვეშა ან მიწისქვეშა სატელეკომუნიკაციო გადამცემი ხაზების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ადგილობრივი კაბელების გაყვანის სამშენებლო სამუშაოებს, იხ. 42.22.22
- ტრანშეების გამოთხრის სამუშაოებს, იხ. 43.12.12

42.22.22 სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივი ელექტროხაზების და საკომუნიკაციო ხაზების გაყვანით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მიწისზედა ან მიწისქვეშა ადგილობრივი ელექტროხაზების სამშენებლო სამუშაოებს და რემონტს, დამხმარე სამუშაოების ჩათვლით, როგორიცაა ადგილობრივ საზღვრებში ელექტროენერგიის გამანაწილებელი ტრანსფორმატორული სადგურების და ქვესადგურების სამშენებლო სამუშაოები
- მიწისზედა ან მიწისქვეშა ხაზების ადგილობრივი საკომუნიკაციო გადამცემი ხაზების მშენებლობას და რემონტს, დამხმარე სამუშაოების ჩათვლით, როგორიცაა კოშკური საყრდენების აგება
- ანტენების და ადგილობრივ საზღვრებში გასანაწილებლად ტრანსფორმატორული სადგურების სამშენებლო სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სამშენებლო სამუშაოებს მაგისტრალური საკომუნიკაციო და ელექტროხაზების გასაყვანად, იხ. 42.22.21
- ტრანშეების გამოთხრის სამუშაოებს, იხ. 43.12.12
- მომსახურებას შენობების შიგნით საკაბელო სატელევიზიო ხაზების გაყვანით, იხ. 43.21.10

42.22.23 ელექტროსადგურების სამშენებლო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ყველა ტიპის ელექტროსადგურების სამშენებლო სამუშაოებს

42.9 ნაგებობები და სხვა სამოქალაქო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები

42.91 წყლის ობიექტების ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები

42.91.1 სანაპირო და საპორტო ნაგებობები, კაშხლები, რაბები და დაკავშირებული ჰიდრომექანიკური კონსტრუქციები

42.91.10 სანაპირო და საპორტო ნაგებობები, კაშხლები, რაბები და დაკავშირებული ჰიდრომექანიკური კონსტრუქციები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ნავსაყუდელების ფსკერებს და საპორტო არხებს, მოლოებს, პირსებს, გემების მისადგომებს და მსგავს კონსტრუქციებს და სამდინარო და არხების ნაგებობებს წყლის ტრანსპორტის მოძრაობისთვის
- ჯებირებს და მსგავს წყალშემკავებელ კონსტრუქციებს და შემოსაგარ ყრილებს სანაპირო და სხვა წყლისპირა უბნებზე

42.91.2 სანაპირო და საპორტო ნაგებობების, კაშხლების, რაბების და დაკავშირებული ჰიდრომექანიკური კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები

42.91.20 სანაპირო და საპორტო ნაგებობების, კაშხლების, რაბების და დაკავშირებული ჰიდრომექანიკური კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საპორტო და სამდინარო ნაგებობების, ნავმისადგომების, სანაპიროების, პირსების, მოლოების, დოკების და მსგავსი საპორტო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს, რემონტის ჩათვლით
- კაშხლების და დამბების სამშენებლო სამუშაოებს, რემონტის ჩათვლით
- რაბების, რაბების საკეტების, საკეტების, გემთამწეების, მშრალი დოკების, გემხარიხების, წყალასაწევი კაშხლების და სხვა ჰიდრომექანიკური ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს და რემონტს
- დრაგირების სამუშაოებს, კლდოვანი ქანების და ლამოვანი დანალექების მოცილებას და წყალთან დაკავშირებულ სხვა სამშენებლო სამუშაოებს
- წყალქვეშა სამუშაოებს (მყვინთავების, აკვალანგისტების ან სხვა ტექნიკოსების მიერ) და სხვა ჰიდროენერგეტიკულ სამუშაოებს
- წყალქვეშა სხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს და ყველა ზემოთ მითითებული ნაგებობის რემონტს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- წყალქვეშა კაბელების გაყვანის სამუშაოებს, იხ. 42.22.21
- ელექტროსადგურების სამშენებლო სამუშაოებს, იხ. 42.22.23
- ხიმინჯების ჩასობის სამუშაოებს, იხ. 43.99.30

42.99 ნაგებობები და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი სხვა სამოქალაქო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები,

42.99.1 სხვა სამოქალაქო საინჟინრო ნაგებობები

42.99.11 სამთო-მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობის ნაგებობები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სამთო-მოპოვებითი მრეწველობის და მასთან დაკავშირებულ ნაგებობებს, როგორიცაა მადნის დატვირთვის და განტვირთვის სადგურები, მთავარი

ჭაურები და შახტური ურნალები, გვირაბები და სამთო სამუშაოებთან დაკავშირებული ჰორიზონტალური გვირაბები
- ძირითადი ქიმიური ნივთიერებების, ნაერთების, ფარმაცევტული პრეპარატების, სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების დამამუშავებელი მრეწველობის ნაგებობები
- ქიმიური წარმოების და დაკავშირებული დამამუშავებელი ობიექტები, როგორიცაა ბრძმედები და საკოქსავი ღუმელები
- სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სპეციალიზებულ ობიექტებს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველს, მაგალითად, თუჯსამსხმელო საამქროებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სამრეწველო შენობებს, რომლებიც არ არის სპეციალიზებული გარკვეული პროდუქტების წარმოებაზე, იხ. 41.00.20

42.99.12 სპორტული და სარეკრეაციო ნაგებობები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მოედნებს სპორტული თამაშებისთვის, ძირითადად ღია ცის ქვეშ, როგორიცაა ფეხბურთი, ბეისბოლი, რაგბი, მძლეოსნობა, ავტორბოლები ან ველორბოლები და დოღი
- სარეკრეაციო ნაგებობებს, მაგალითად, გოლფის მოედნებს, პლაჟის კონსტრუქციებს, სამთო თავშესაფრებს (ბანაკებს), საპარკო ტერიტორიებს და სარეკრეაციო საპარკო ნაგებობებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- დახურულ სპორტულ ნაგებობებს და სანახაობით ობიექტებს, იხ. 41.00.20

42.99.19 სხვა სამოქალაქო ნაგებობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- დაყოფილ მიწებს (მიწის ნაკვეთებს), გზებთან, კომუნიკაციებთან მისადგომების ჩათვლით და/ან ტერიტორიის მსგავს წინასწარ კეთილმოწყობას
- სხვა სამოქალაქო ნაგებობებს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველს

42.99.2 სხვა სამოქალაქო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები

42.99.21 სამთო-მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობის ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს სამთო-მოპოვებითი მრეწველობისთვის, მაგალითად, დატვირთვის და განტვირთვის სადგურების, მთავარი ჭაურების, თუჯსამსხმელო საამქროების, ბრძმედების და საკოქსავი ღუმელების მშენებლობას და რემონტს
- ქიმიური მრეწველობის და დაკავშირებული ობიექტების მშენებლობას და რემონტს
- სხვა სამრეწველო ობიექტების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საწყობების და სამრეწველო შენობების სამშენებლო სამუშაოებს, იხ. 41.00.40

42.99.22 ღია ცის ქვეშ სტადიონების და სპორტული მოედნების სამშენებლო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სტადიონების და სხვა მოედნების კონსტრუქციების და სიბრტყითი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს სპორტული თამაშებისთვის ღია ცის ქვეშ, როგორიცაა ფეხბურთი, ბეისბოლი, რაგბი, მძლეოსნობა, ავტორბოლები, ველორბოლები და დოღი
- სარეკრეაციო კონსტრუქციების, მაგალითად, გოლფის მოედნების, პლაჟის კონსტრუქციების, სამთო თავშესაფრების (ბანაკების), საპარკო ტერიტორიების და სარეკრეაციო საპარკო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სამშენებლო მოედნის მომზადების სამუშაოებს და მიწის წინასწარ სამუშაოებს, იხ. 43.12.1

42.99.29 სამოქალაქო საინჟინრო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მიწის ნაკვეთებად დაყოფას და მათ კეთილმოწყობას, გზებამდე და კომუნიკაციებამდე მისასვლელების მომზადების ჩათვლით და/ან მსგავს წინასწარ სამუშაოებს ტერიტორიის კეთილმოსაწყობად
- სხვა სამოქალაქო ნაგებობების სამშენებლო სამუშაოებს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის

43 სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები

43.1 შენობების და ნაგებობების აღება და სამშენებლო მოედნის მომზადება

43.11 შენობების და ნაგებობების აღების სამუშაოები

43.11.1 შენობების და ნაგებობების აღების სამუშაოები

43.11.10 შენობების და ნაგებობების აღების სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- შენობების და სხვა კონსტრუქციების დაშლის და აღების სამუშაოებს
- ქუჩების და ავტომაგისტრალების დაშლის და აღების სამუშაოებს

43.12 სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაოები

43.12.1 სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაოები

43.12.11 გრუნტის და მიწის მოსამზადებელი სამუშაოები; გაწმენდის სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სასოფლო-სამეურნეო მიწების მოსამზადებელ სამუშაოებს
- სამშენებლო მოედნის მოსამზადებელ სამუშაოებს შემდგომი სამშენებლო სამუშაოებისთვის, ბურღვა-აფეთქებითი და კლდოვანი ქანების მოსაცილებელი სამუშაოების ჩათვლით
- სამშენებლო მოედნის მომზადებას სამთო სამუშაოებისთვის: საბადოების გადახსნას და სხვა სამუშაოებს მინერალური წიაღისეულის და უბნების დასამუშავებლად და მოსამზადებლად, გვირაბების გაყვანის ჩათვლით, ნავთობის და აირის მოპოვების გარდა
- ტერიტორიის დასუფთავებას, მცენარეების მოცილებას
- გრუნტის გამაგრებას
- ჰორიზონტალურ ბურღვას კაბელების ან სადრენაჟო მილების გასაყვანად

- ტრანშეების გათხრას უბნების ამოსაშრობად

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვებასთან დაკავშირებულ მომსახურებას ბურღვით, იხ. 09.10.11
- წყლის ჭაბურღილების ბურღვას, იხ. 42.21.24

43.12.12 გრუნტის გამოთხრის და გადაადგილების სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ტრანშეების გამოთხრას კომუნალური ქსელების, საქალაქო სადრენაჟო ქსელების, სხვადასხვა საგზაო სამუშაოებისთვის და ა.შ.
- ჩვეულებრივი ტრანშეების, ქვაბულების გამოთხრას სხვადასხვა კონსტრუქციებისთვის
- გრუნტის ზედა დაბინძურებული ფენის მოცილების სამუშაოებს
- მიწის აღდგენით სამუშაოებს
- ფართომასშტაბიან მიწის სამუშაოებს, გამოთხრას, ფერდოების დაგეგმარებას, გრუნტის გადაადგილებას ყრილების ან ნათხარების მოწყობისას საგზაო მშენებლობის დაწყებამდე (საავტომობილო გზების, ავტომაგისტრალების, რკინიგზების და ა.შ.)
- გრუნტის გამოთხრის და გადაადგილების სხვა სამუშაოებს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველს

43.13 სადაზვერვო ბურღვის და ბურღვის სამუშაოები

43.13.1 სადაზვერვო ბურღვის და ბურღვის სამუშაოები

43.13.10 სადაზვერვო ბურღვის და ბურღვის სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სადაზვერვო ბურღვის და ბურღვის სამუშაოებს და გრუნტის სინჯების აღების (წერტვის) სამუშაოებს სამშენებლო, გეოფიზიკური, გეოლოგიური ან მსგავსი მიზნებისთვის

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვებასთან დაკავშირებული ბურღვით, იხ. 09.10.11
- დამხმარე საძიებო ბურღვას და ბურღვის მომსახურებას სამთო სამუშაოების პროცესში, იხ. 09.90.1
- წყალასაღები ჭაბურღილების ბურღვას, იხ. 42.21.24

43.2 ელექტროსამონტაჟო, წყალგაყვანილობის და სხვა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები

43.21 ელექტროსამონტაჟო სამუშაოები

43.21.1 ელექტროსამონტაჟო სამუშაოები

43.21.10 ელექტროსამონტაჟო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- შენობებში, ნაგებობებსა და სხვა სამშენებლო ობიექტებში ელექტროგანათების და ელექტრომომარაგების ძირითადი ქსელების ან ელექტროარმატურის სამონტაჟო სამუშაოებს, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ კვალიფიკაციას
- ხელსაწყოების დაყენებასთან დაკავშირებულ ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს,

- ელექტროგანათების ქსელების და ელექტროარმატურის სამონტაჟო სამუშაოებს ავარიული ელექტრომომარაგების სისტემებისთვის
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის და დაცვის სიგნალიზაციის სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს სამშენებლო მოედნებზე
- ყველა სახის ანტენების სამონტაჟო სამუშაოებს, თანამგზავრული ანტენების ჩათვლით, საცხოვრებელ შენობებში
- საკაბელო ტელევიზიის სადენიანი და კაბელური ქსელების სამონტაჟო სამუშაოებს შენობებში
- სატელეკომუნიკაციო გაყვანილობის ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს
- სხვა ელექტრომოწყობილობების ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს, მზის ენერგიის კოლექტორების და პლინტუსური გამათბობლების ჩათვლით, შენობებში და ნაგებობებში
- ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვის ხელსაწყოების დაყენების სამუშაოებს
- საავტომობილო გზების, აეროპორტების და ნავსადგურების განათების და სასიგნალო სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ელექტროძრავების, გენერატორების და ტრანსფორმატორების სამონტაჟო სამუშაოებს ელექტროსადგურებში, იხ. 33.20.50
- მართვის და მოძრაობის უსაფრთხოების სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს რკინიგზაზე, იხ. 42.12.20
- სპრინკლერული (გამშხეფი) სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს, იხ. 43.22.11
- გამათბობელი მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოებს, იხ. 43.22.12
- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სამუშაოებს, იხ 43.29.11

43.22 წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების სამონტაჟო სამუშაოები

43.22.1 წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, გათბობის, ვენტილაციის და ჰაერის კონდიცირების სისტემების სამონტაჟო სამუშაოები

43.22.11 წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ცხელი და ცივი წყლის ძირითადი სისტემების (ანუ წყალსადენების) სამონტაჟო სამუშაოებს, სპრინკლერული სისტემების მონტაჟის ჩათვლით
- სანიტარულ-ტექნიკური ხელსაწყოების სამონტაჟო სამუშაოებს
- წყალგაყვანილობის ურთიერთდაკავშირებულ სამუშაოებს
- ხანძარსაქრობი სადაწნეო წყალგაყვანილობის სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს (სახანძრო სახელოებით და გამომშვები მილყელებით სახანძრო ჰიდრანტების ჩათვლით)
- საკანალიზაციო სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- შენობებში (სათავსოებში) გამათბობელი მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოებს, შემაერთებელი მილსადენების მონტაჟის ჩათვლით, იხ. 43.22.12

43.22.12 გათბობის, ვენტილაციის და ჰაერის კონდიცირების სისტემების სამონტაჟო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- გამათბობელი მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოებს (ელექტრული, აირის, ნავთობის, არაელექტრული მზის ენერგიის კოლექტორების). აქვე ჩაირთვება მილსადენების, ჰაერსატარების მოწყობის სამუშაოები და ურთიერთდაკავშირებული სამუშაოებს, შესრულებული თხელფურცლოვანი ლითონის გამოყენებით ასეთი სისტემების სამონტაჟო სამუშაოების შემადგენელი ნაწილის სახით
- ცენტრალური გათბობის მართვის სისტემების დაყენების და ტექნიკური მომსახურების სამუშაოებს
- გათბობის რაიონულ სისტემებთან მიერთების სამუშაოებს
- საყოფაცხოვრებო სათბობი ქვაბების და სანთურების (ფრქვევანების) რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას
- სავენტილაციო, სამაცივრო ან ჰაერის კონდიცირების მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოებს საცხოვრებელ შენობებში, კომპიუტერულ ცენტრებში, ოფისებში და მაღაზიებში. ჩაირთვება აგრეთვე სამუშაოები მილსადენების, ჰაერსატარების მოწყობით და ურთიერთდაკავშირებული სამუშაოები, შესრულებული თხელფურცლოვანი ლითონის გამოყენებით ასეთი სისტემების სამონტაჟო სამუშაოების შემადგენელი ნაწილის სახით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სამრეწველო ბოილერების რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას, იხ. 33.12.14
- სამრეწველო ჰაერის კონდიცირების და სამაცივრე მოწყობილობების დაყენებას, რემონტს და სამონტაჟო სამუშაოებს, იხ. 33.12.18, 33.20.29
- ელექტრული მზის ენერგიის კოლექტორების და პლინტუსური გამათბობლების დაყენების ელექტროსამონტაჟო სამუშაოებს, იხ. 43.21.10
- საკვამურების წმენდას, იხ. 81.22.13

43.22.2 აირის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები

43.22.20 აირის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სამუშაოებს სხვადასხვა აირების (მაგალითად, საავადმყოფოებში ჟანგბადის) მისაწოდებელი სისტემების დაყენებით და აირის სხვა მოწყობილობების მიერთებით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- გათბობის სისტემების მონტაჟს შენობებში, იხ. 43.22.12
- ვენტილაციის და ჰაერის კონდიცირების სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს, იხ. 43.22.12

43.29 სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

43.29.1 სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

43.29.11 საიზოლაციო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- თერმოსაიზოლაციო სამუშაოებს, რომლებიც ითვალისწინებენ ამინდის ფაქტორების მოქმედებისადმი მედეგი თბოსაიზოლაციო მასალების გამოყენებას, გარე კედლებში სიცარიელების შესავსებად
- ცხელი ან გაცივებული წყლის მისაწოდებელი მილსადენების, ბოილერების და მილგასაყარების თერმოსაიზოლაციო სამუშაოებს
- ბგერათსაიზოლაციო სამუშაოებს

- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- აკუსტიკურ სამუშაოებს, იხ. 43.39.19
- ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, იხ. 43.99.10

43.29.12 სამუშაოები გალავნების (ზღუდეების) და დამცავი ღობეების დაყენებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- გალავნების, ღობეების და მსგავსი შემოსაღობების დაყენებას. შემოსაღობები შეიძლება იყოს სხვადასხვა მასალის (მავთულის, ხის, ლითონის, მინაბოჭკოს) და დაყენებული იქნეს სხვადასხვა ადგილებში (ეზოებში, სათამაშო მოედნების, კერძო ადგილ-მამულების ან სამრეწველო საწარმოების ირგვლივ)
- სახანძრო ლითონის კიბეების სამონტაჟო სამუშაოებს, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ კვალიფიკაციას

43.29.19 სხვა სამონტაჟო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ლიფტების, ესკალატორების, მოძრავი ტროტუარების სამონტაჟო სამუშაოებს, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ კვალიფიკაციას, რემონტის და ტექნიკური მომსახურების ჩათვლით
- ავტომატური და მბრუნავი კარების სამონტაჟო სამუშაოებს
- დარაბების და ფარდულების სამონტაჟო სამუშაოებს
- სასიგნალო ნიშნების (მანათობელი ან არა) სამონტაჟო სამუშაოებს
- მეხამრიდების სამონტაჟო სამუშაოებს
- სამონტაჟო სამუშაოებს, სხვა დაჯგუფებებეში ჩაურთველს, იმ ნაწარმის ჩათვლით, რომელიც არ ითვლება შენობის ან ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციის ნაწილად
- სხვა სამონტაჟო სამუშაოებს, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველს

43.3 სამშენებლო დამამთავრებელი და მოსაპირკეთებელი სამუშაოები

43.31 საბათქაშე სამუშაოები

43.31.1 საბათქაშე სამუშოები

43.31.10 საბათქაშე სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- გარე და შიდა საბათქაშე სამუშაოებს საბათქაშე ხსნარების ან საბათქაშე ბადეების და ტკეჩის გამოყენებით
- კედლების მოსაპირკეთებელ სამუშაოებს მშრალი საბათქაშე ფურცლებით, ძირითადად თაბაშირის

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ბგერათსაიზოლაციო სამუშაოებს, იხ. 43.29.11

43.32 სადურგლო და სახუროო სამუშაოები

43.32.1 სადურგლო და სახუროო სამუშაოები

43.32.10 სადურგლო და სახუროო სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- კარების და ფანჯრების ჩარჩოების და კარების (ავტომატურის ან მბრუნავის გარდა), ფანჯრების, სადგულების, გადასახსნელი სადგულების, ავტოფარეხების კარების და ა.შ. დაყენებას, ნებისმიერი მასალისგან
- გამოსასვლელი კარების დაჯავშნას და დაჯავშნული კარების დაყენებას
- ხანძარსაწინააღმდეგო კარების დაყენებას
- შიდა კარების, ჩაშენებული კარადების, ჩაშენებული სამზარეულო მოწყობილობების დაყენებას
- კედლების მოპირკეთებას თამასებით, პანელებით და ა.შ.
- გადასაადგილებელი გასაშლელი ტიხრების და საკიდი ჭერების დაყენებას ლითონის კონსტრუქციებისგან
- ვერანდების და ორანჟერეების მოწყობის სამუშაოებს კერძო სახლებში

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ღობეების და მოაჯირეების დაყენებას, იხ. 43.29.12
- ავტომატური და მბრუნავი კარების დაყენებას, იხ. 43.29.19
- შავი ლითონის დეკორატიულ სამუშაოებს, იხ. 43.39.11
- მომსახურებას ავეჯის ცალკე მდგომი საგნების აწყობით, იხ. 95.24.10

43.33 იატაკის დაგება და კედლის მოსაპირკეთებელი სამუშაოები

43.33.1 იატაკების დაგება და კედლების მოპირკეთება ფილებით

43.33.10 იატაკების დაგება და კედლების მოპირკეთება ფილებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სამშენებლო სამუშაოებს კედლების, იატაკების და ტროტუარების, შენობების და სხვა კონსტრუქციების შიდა და გარე ზედაპირების კერამიკული, ბეტონის ან ქვის ფილებით მოპირკეთებით
- დეკორატიული საფარების მოწყობას კერამიკული მასალების, ქვის, აგურის და ა.შ. შენობების გარე კედლებზე

43.33.2 სხვა სამუშაოები იატაკის დაგებით, იატაკების და კედლების საფარების მოწყობით და შპალერის გაკვრის სამუშაოები

43.33.21 ტერაცოს (ვენეციური მოზაიკის), მარმარილოს, გრანიტის და ფიქალის სამუშაოები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სამშენებლო სამუშაოებს ადგილზე ტერაცოს დეკორატიული ელემენტების მოწყობით და მარმარილოს, გრანიტის ან ფიქალის შიდა სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ფილებით მოსაპირკეთებელ სამუშაოებს იხ. 43.33.10

43.33.29 სხვა სამუშაოები იატაკის დაგებით და დაფარვით, კედლის საფარების მოწყობით, და კედელზე შპალერის გაკვრით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ორხოვისებრი საფარების, ლინოლეუმის და სხვა რბილი იატაკის საფარების დაგებას. აქვე შედის დამამთავრებელი (მოსაპირკეთებელი) სამუშაოები
- ხის და ფიცრის იატაკების დაგებას, პარკეტის და სხვა ხის იატაკების ჩათვლით და კედლის მოპირკეთებას. აქვე შედის თანამდევი

მოსაპირკეთებელი სამუშაოები, როგორიცაა ხეხვა, ცვილით გაპრიალება, ნაკერების ჰერმეტიზაცია და ა.შ.
- კედელზე შპალერის ან სხვა რბილი საფარის გაკვრას
- კედლის საჩორტნ სამუშაოებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- იატაკის დაგებას ქვის, ბეტონის და კერამიკული ფილებით იხ. 43.33.10
- ბეტონის იატაკების დაგებას (ბეტონის ფილების იატაკების გარდა), იხ. 43.99.40

43.34 სამღებრო და მინის სამუშაოები

- მომსახურებას დაზღვევის მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ დაზღვევას უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალების ან კიდურების დაკარგვის შემთხვევაში, ანუ თანხის გაცემას, თუ უბედური

შემთხვევის შედეგს წარმოადგენს დაზღვეული პირის გარდაცვალება ან მისი ერთი ან რამდენიმე კიდურის (როგორიცაა ხელი ან ფეხი) დაკარგვა ან მხედველობის დაკარგვა ერთი ან ორივე თვალით
- მომსახურებას დაზღვევის მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ დაზღვეული პირისთვის თანხის პერიოდულ გადახდას, როდესაც მას არ შეუძლია მუშაობა უბედური შემთხვევის შედეგად

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- დაზღვევას მოგზაურობის დროს უბედური შემთხვევებისგან, იხ. 65.12.71

65.12.12 მომსახურება ჯანმრთელობის დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ დანახარჯების დაფარვას სამკურნალო დაწესებულებებში ყოფნის დროს ან სახელმწიფო პროგრამებით დაუფარავ სამედიცინო დანახარჯებს, და, როგორც წესი, სხვა დანახარჯებს ჯანმრთელობის დასაცავად, როგორიცაა დანიშნული მედიკამენტოზური საშუალებები, სამედიცინო აპარატების გამოყენება, სასწრაფო დახმარების მომსახურება, მომსახურება კერძო მედდის მორიგეობით და ა.შ.
- მომსახურება დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ სტომატოლოგიაზე გაწეული ხარჯების დაფარვას
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ დაზღვეული პირისთვის პერიოდულად თანხის გაცემას როდესაც მას არ შეუძლია მუშაობა ავადმყოფობით გამოწვეული ინვალიდობის გამო

65.12.2 მომსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევით

65.12.21 მომსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სადაზღვევო მომსახურებას დაზღვევაზემიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ფარავენავტოსატრანსპორტო საშუალებებისხმელეთზეგამოყენებასთან დაკავშირებულ მთელ პასუხისმგებლობას, ფასიანი მგზავრების გადასაყვანი ან ფასიანი ტვირთების გადასაზიდი საშუალებების ჩათვლით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, იხ. 65.12.31

65.12.29 სხვა მომსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სადაზღვევო მომსახურებას, რომელიც ფარავს სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების დანაკარგებთან ან დაზიანებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სადაზღვევო მომსახურებას, რომელიც ფარავს სარკინიგზო მოძრავი შემადგენილობის დანაკარგებთან ან დაზიანებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, იხ. 65.12.31

65.12.3 მომსახურება საზღვაო, საჰაერო და სხვა სახის ტრანსპორტის დაზღვევით

65.12.31 მომსახურება სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ფარავენ გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებს:
  - სარკინიგზო მოძრავი საშუალებების

დასაფარი რისკები მოიცავენ სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დანაკარგებს ან დაზიანებას

65.12.32 მომსახურება საჰაერო ხომალდების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისების შესაბამისად, რომლებიც ფარავენ გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებს:
  - საჰაერო ხომალდების
- მომსახურებას ხელოვნური თანამგზავრების გაშვების დაზღვევით

65.12.33 სხვა მომსახურება საჰაერო ხომალდების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისების გარდა, რომლებიც ფარავენ გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებს:
  - საჰაერო ხომალდების
- მომსახურებას ხელოვნური თანამგზავრების გაშვების დაზღვევით

65.12.34 მომსახურება ხომალდების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის სადზღვევო პოლისების შესაბამისად, რომლებიც ფარავენ გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებს:
  - ტრანსოკეანურ, სანაპირო მარშრუტებზე ან შიგა წყლების გზებზე მოქმედი სამგზავრო და სატვირთო ხომალდების

65.12.35 სხვა მომსახურება ხომალდების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის პოლისების გარდა, რომლებიც ფარავენ გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებს:
  - ტრანსოკეანურ, სანაპირო მარშრუტებზე ან შიგა წყლების გზებზე მოქმედი სამგზავრო და სატვირთო ხომალდების

65.12.36 მომსახურება ტვირთების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ გადამზიდავების მიერ დაფარვის უზრუნველყოფასთან

ერთად ტვირთის დაზიანებასა ან დაკარგვასთან დაკავშირებული რისკების დაფარვას

65.12.4 მომსახურება ქონების დაზღვევით ხანძრის და სხვა დაზიანების შედეგად მიყენებული ზარალისგან

მოცემული კატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ ქონების დაზიანების ან დაკარგვის რისკების დაფარვას, 65.12.2 (მომსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევით), 65.12.3 (მომსახურება საზღვაო, საჰაერო და სხვა სახის ტრანსპორტის დაზღვევით; მომსახურება ტვირთების დაზღვევით) ქვეკატეგორიების მიერ დასაფარი რისკების გარდა

65.12.41 მომსახურება ქონების დაზღვევით ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალისგან

65.12.49 მომსახურება სხვა დაზიანებისგან ქონების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ ქონების დაზიანების ან დანაკარგების რისკების დაფარვას, როგორიცაა ქურდობა, აფეთქება, ქარიშხალი, სეტყვა, ყინვა, სხვა სტიქიური უბედურებები, რადიოაქტიური მოწამვლა და მიწის ჩაქცევა
- ორთქლის ქვაბების და მექანიზმების დაზღვევას სიმძლავრის, განათების, სუსტი გაცხელების, ორთქლის ზემოქმედების ან გაცივების უკმარისობის შედეგად ქონებისთვის ზიანის მიყენების რისკების ჩათვლით,.

65.12.5 მომსახურება ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევით

65.12.50 მომსახურება ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობის წარმოშობასთან დაკავშირებული რისკების დაფარვას უხარისხო პროდუქციაზე სხეულის დაზიანებაზე, ქონების დაზიანებაზე, გარემოს დაბინძურებაზე, საქიმო შეცდომებზე, მოვალეობების ბოროტად გამოყენებაზე და მსგავსი პასუხისმგებლობის ჩათვლით იმ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელსაც მოიცავს ქვეკატეგორია 65.12.21 (მომსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით), 65.12.3 (მომსახურება საზღვაო, საჰაერო და სხვა სახის ტრანსპორტის დაზღვევით) და 65.12.4 (მომსახურება ქონების დაზღვევით ხანძრის ან სხვა დაზიანების შედეგად მიყენებული ზარალისგან)

65.12.6 მომსახურება კრედიტების და თავდებობების დაზღვევით

65.12.61 მომსახურება კრედიტების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ კრედიტებთან მნიშვნელოვან დანაკარგებთან დაკავშირებული რისკების დაფარვას მოვალეების გადახდისუუნარობის გამო.აქ ჩართულია საექსპორტო კრედიტები, კრედიტები განვადებით დაფარვით, იპოთეკური კრედიტები, სასოფლო-სამეურნეო კრედიტები და ა.შ.

65.12.62 მომსახურება თავდებობების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ან შეთანხმების ამა თუ იმ ფინანსური ხასიათის სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობასთან ან შესრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული რისკების დაფარვას

65.12.7 მომსახურება მგზავრობის და გადაუდებელი დახმარების, სასამართლო საქმეებზე დანახარჯების დაზღვევით და მომსახურება სხვადასხვა საფინანსო დანაკარგებისგან დაზღვევით

65.12.71 მომსახურება მგზავრობის და გადაუდებელი დახმარების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ მოგზაურობასთან დაკავშირებული დანახარჯების დაფარვას (ძირითადად სადაზღვევო პაკეტის ფარგლებში), როგორიცაა:

- მგზავრობის გადადება, შეწყვეტა ან შეფერხება
- ბარგის დაკარგვა, დაგვიანება ან დაზიანება
- უბედურ შემთხვევასთან ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სამედიცინო დანახარჯები
- სხეულის რეპატრიაცია

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევით, იხ. 65.12.2

65.12.72 მომსახურება იურიდიული დანახარჯების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც მოიცავენ იურიდიულ დანახარჯებს და სასამართლო ხარჯებს

65.12.73 მომსახურება სხვადასხვა საფინანსო დანაკარგების დაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ სხვადასხვა საფინანსო დანაკარგებისგან რისკების დაფარვას, ანუ შემდეგი მიზეზებით გამოწვეული დანახარჯების: სამსახურის დაკარგვა, საერთო შემოსავლის უკმარისობა, ამინდის არასახარბიელო პირობები, შეღავათების და დახმარებების დაკარგვა, საერთო დანახარჯების მაღალი დონის შენარჩუნება, გაუთვალისწინებელი სავაჭრო დანაკარგები (ზემოხსენებულის გარდა), სხვა საფინანსო დანაკარგები (არასავაჭრო) და დანაკარგების სხვა ფორმები

65.12.9 დაზღვევის სხვა მომსახურება, სიცოცხლის დაზღვევის გარდა

65.12.90 დაზღვევის სხვა მომსახურება, სიცოცხლის დაზღვევის გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით პოლისების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ სხვა რისკების დაფარვას, რომლებიც არ არის დაკავშირებული სიცოცხლესთან და არ არის ჩართული სხვა დაჯგუფებებში

65.2 მომსახურება გადაზღვევით

65.20 მომსახურება გადაზღვევით

65.20.1 მომსახურება სიცოცხლის, უბედური შემთხვევისგან და ჯანმრთელობის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.11 მომსახურება სიცოცხლის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სიცოცხლის დაზღვევის ვალდებულების გადაზღვევით
- გადაზღვევას ანუიტეტის ხელშეკრულებებით

65.20.12 მომსახურება უბედური შემთხვევისგან ვალდებულებების გადაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას უბედური შემთხვევისგან დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით
- მომსახურებას ანუიტეტის ხელშეკრულებებით

65.20.13 მომსახურება ჯანმრთელობის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ჯანმრთელობის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით
- გადაზღვევას ანუიტეტის ხელშეკრულებებით

65.20.2 მომსახურება ტრანსპორტის და ქონების დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.21 მომსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულებების დაზღვევის გადაზღვევით

65.20.22 მომსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების სხვა დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ავტოსატრანსპორტო საშუალებების სხვა დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გარდა

65.20.23 მომსახურება საზღვაო, საჰაერო და სხვა სახის ტრასნპორტის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას საზღვაო, საჰაერო და სხვა სახის ტრასნპორტის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.24 მომსახურება ტვირთების დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ტვირთების დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.25 მომსახურება ხანძრის შედეგად ზარალის და სხვა დაზიანებისგან ქონების დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.3 მომსახურება ზოგადი პასუხისმგებლობის, კრედიტების და თავდებობების ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.31 მომსახურება ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.32 მომსახურება კრედიტების და თავდებობების ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.4 მომსახურება სასამართლო საქმეების წარმოებაზე დანახარჯების და სხვადასხვა ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.41 მომსახურება სასამართლო საქმეების წარმოებაზე დანახარჯების დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.42 მომსახურება სხვადასხვა ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევით

65.20.5 მომსახურება საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გადაზღვევით

65.20.50 მომსახურება საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გადაზღვევით

65.20.6 სხვა მომსახურება გადაზღვევით, სიცოცხლის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევის გარდა

65.20.60 სხვა მომსახურება გადაზღვევით, სიცოცხლის დაზღვევის ვალდებულებების გადაზღვევის გარდა

65.3 საპენსიო ფონდების მომსახურება

65.30 საპენსიო ფონდების მომსახურება

65.30.1 საპენსიო ფონდების მომსახურება

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას მინდობილობითი მართვით, იხ. 66.19.31
- საპენსიო ფონდების ადმინისტრირებას, იხ. 66.29.19
- მომსახურებას საპენსიო ფონდების მართვით, იხ. 66.30.12
- მომსახურებას ფასიანი ქაღალდების პორტფელების მართვით, იხ. 66.30.11

65.30.11 საპენსიო ფონდების ინდივიდუალური მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით ანუიტეტის ხელშეკრულების შესაბამისად, ანუ გეგმებით, რომლებიც ითვალისწინებენ პირთათვის შემოსავლის დროის თანაბარი ინტერვალებით გადახდას

გეგმები შეიძლება ითვალისწინებდეს ერთჯერად შენატანს ან რიგ შენატანებს; შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი; შეიძლება ითვალისწინებდეს შემოსავლის წინასწარ შეთანხმებულ ნომინალურ ოდენობას ან საბაზრო ღირებულებაზე დამოკიდებულ გეგმის მხარდამჭერ აქტივებს; და, თუ ისინი დაკავშირებულია დასაქმებასთან, მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ ან არ შეინარჩუნონ თავისი მოქმედება დასაქმების პირობების

შეცვლისას. შეიძლება დადგენილი იქნეს შემოსავლის გადახდის მინიმალური ან მაქსიმალური ხანგრძლივობა, რომლის დროსაც შეიძლება გათვალისწინებული ან არ გათვალისწინებული იქნეს შემოსავლის გადახდა მემკვიდრეებისთვის

65.30.12 საპენსიო ფონდების ჯგუფური მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დაზღვევაზე მიღებით გეგმების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ ჯგუფის წევრებისთვის შემოსავლის დროის თანაბარი ინტერვალებით გადახდას
გეგმები შეიძლება ითვალისწინებდეს ერთჯერად შენატანს ან რიგ შენატანებს, შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი; შეიძლება ითვალისწინებდეს შემოსავლის წინასწარ შეთანხმებულ ნომინალურ ოდენობას ან საბაზრო ღირებულებაზე დამოკიდებულ გეგმის მხარდამჭერ აქტივებს; და, თუ ისინი დაკავშირებულია დასაქმებასთან, მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ ან არ შეინარჩუნონ თავისი მოქმედება დასაქმების პირობების შეცვლისას. შეიძლება დადგენილი იქნეს მინიმალური ან მაქსიმალური ხანგრძლივობა, რომლის დროსაც შეიძლება გათვალისწინებული ან არ გათვალისწინებული იქნეს შემოსავლის გადახდა მემკვიდრეებისთვის

66 საფინანსო მომსახურების და სადაზღვევო მომსახურების დამხმარე მომსახურება

66.1 საფინასო მომსახურების დამხმარე მომსახურება, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა

66.11 საფინანსო ბაზრების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურება

66.11.1 საფინანსო ბაზრების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურება

66.11.11 საფინანსო ბაზრების ოპერაციული მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საორგანიზაციო მომსახურებას ფასიანი ქაღალდების და სასაქონლო ბაზრების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სათავსოების და სხვა საშუალებების უზრუნველყოფით

66.11.12 მომსახურება საფინანსო ბაზრების რეგულირებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას საფინანსო ბაზრების და ამ ბაზრების მონაწილეების რეგულირებით და კონტროლით

66.11.19 საფინანსო ბაზრების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას საფინანსო ახალი ამბების მიწოდებით ახალი ამბების მასმედიისთვის, იხ. 63.91.1
- მომსახურებას ფასიანი ქაღალდების დაცვით (შენახვით), იხ. 66.19.32

66.12 ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება

66.12.1 ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას პორტფელების მართვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, იხ. 66.30.11

66.12.11 ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურებას (რომელიც მდგომარეობს ერთი და იგივე ქაღალდების მყიდველების და გამყიდველების ერთად დაკავშირებაში)
- მომსახურებას წილების, აქტივების ან სხვა პროცენტების მომტანი ქაღალდების გაყიდვის აგენტის ფუნქციების შესრულებით ერთობლივ (საინვესტიციო) ფონდებში
- მომსახურებას სამთავრობო ობლიგაციების გაყიდვით, გადაცემით და გამოსყიდვით
- საბროკერო ოპციონებს

66.12.12 საქონელთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საქონელთან და საქონლის ფიუჩერსული გაყიდვის ოპერაციებთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურებას, საფინანსო ფიუჩერსების ჩათვლით
- საბროკერო ოპერაციებს ოპციონებისგან განსხვავებულ საფინანსო წარმოებულ ინსტრუმენტებთან

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საბროკერო ოპციონებს, იხ. 66.12.11

66.12.13 უცხოური ვალუტის გადაცვლასთან დაკავშირებული მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- გადამცვლელელი პუნქტების მიერ უცხოური ვალუტის გადაცვლით მომსახურებას და ა.შ.

66.19 საფინანსო მომსახურების და სადაზღვევო მომსახურების დამხმარე მომსახურება, დაზღვევის და საპენსიო ფონდების გარდა

66.19.1 ფინანსური გარიგებების (ტრანზაქციების) დამუშავების და ანგარიშსწორების მომსახურება

66.19.10 ფინანსური გარიგებების (ტრანზაქციების) დამუშავების და ანგარიშსწორების მომსახურება

მოცემული კატეგორია შეიცავს:
- კომპიუტერების მეშვეობით მომსახურებას ფასიანი ქაღალდებით დებიტორულ და კრედიტორულ ოპერაციებთან დაკავშირებული მოთხოვნების ურთიერთჩათვლით და დარეგულირებით და აგრეთვე ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების გადაცემით

66.19.2 საბანკო-საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურება

66.19.21 მომსახურება შერწყმით და შეძენით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- საკონსულტაციო და სამოლაპარაკებო მომსახურებას შერწყმის ან შეძენის შესახებ შეთანხმების მისაღწევად

66.19.22 კორპორაციულ ფინანსებთან და ვენჩურულ კაპიტალთან დაკავშირებული მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას კორპორაციული დაფინანსების ორგანიზებით, ვალის, სააქციო და ვენჩურული კაპიტალის დაფინანსების ჩათვლით
- მომსახურებას ვენჩურული კაპიტალის დაფინანსებით

66.19.29 საბანკო-საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დამხმარე მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- აქციების კურსის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებულ მომსახურებას, მიწოდებულს კომპიუტერული საინფორმაციო სერვერით, იხ. 58.19.29
- მომსახურებას საინფორმაციო საშუალებებისთვის ფინანსური ინფორმაციის მიწოდებით, იხ. 63.91.1
- მომსახურებას მინდობილობითი მართვით და შენახვით (დაცვით), იხ. 66.19.3
- მომსახურებას პორტფელების მართვით, იხ. 66.30.11

66.19.3 მომსახურება მინდობილობითი მართვით და შენახვით

66.19.31 მომსახურება მინდობილობითი მარვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას უძრავი ქონების და აქტივების მინდობილობითი მართვით და ხელმძღვანელობით
- მომსახურებას საინვესტიციო ფონდების და საპენსიო ფონდების ნდობით აღჭურვილი პირის სახით
- მომსახურებას ნდობით აღჭურვილი პირის სახით ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში (ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მომსახურება და პროცენტების და დივიდენდების გადახდა)

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ფონდების მართვით, იხ. 66.30.1

66.19.32 მომსახურება შენახვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ინსტრუქციების შესაბამისად ფასიანი და ძირითადად შემოსავლის მომტანი პირადი საკუთრების დაცვით და აღრიცხვით, ფასიანი ქაღალდების ჩათვლით
- მომსახურებას შენახვით
- მომსახურებას ანაბრების საიმედოობის უზრუნველყოფით
- მომსახურებას შენახვის უსაფრთხოების უზრუნველყოფით
- მომსახურებას კლიენტის შესანახად მოთავსებული ფასიანი ქაღალდების აუდიტორული რევიზიით

66.19.9 სხვა დამხმარე მომსახურება ფინანსურ მომსახურებასთან მიმართებით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დაზღვევის და საპენსიო ფონდების გარდა

66.19.91 მომსახურება ფინანსური კონსულტირებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ფინანსური კონსულტირებით მომსახურებას
- ბაზრის ანალიზს და შესწავალას

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას შერწყმის და შეძენის საკითხებზე, იხ. 66.19.21
- კორპორაციულ ფინანსებთან და ვენჩურულ კაპიტალთან დაკავშირებულ მომსახურებას იხ. 66.19.22
- მომსახურებას მინდობილობითი მართვით და შენახვით (დაცვით), იხ. 66.19.3
- საკონსულტაციო მომსახურებას დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებზე, იხ. 66.29.19
- მომსახურებას პორტფელების მართვით, იხ. 66.30.11
- საკონსულტაციო მომსახურებას საგადასახადო საკითხებზე, იხ. 69.20.3
- საკონსულტაციო მომსახურებას ფინანსების მართვის საკითხებზე (მეწარმეობის დაბეგრვის გარდა), იხ. 70.22.12

66.19.92 ფინანსური გარიგებების დადება და საკლირინგო პალატის მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ფინასური გარიგებების დადებასთან დაკავშირებული მომსახურება, როგორიცაა ფინანსური ბალანსების შემოწმება, გარიგებებზე ნებართვების გაცემა, ფულადი საშუალებების გადაყვანა გარიგების მონაწილეების ანგარიშებზე და ანგარიშებიდან, ბანკებისთვის (ან საკრედიტო ბარათის გამცემი ორგანოებისთვის) ცალკეული გარიგებების შესახებ შეტყობინება და ყოველდღიური შედეგების მიწოდება
- მომსახურებას სხვადასხვა ჩეკების და სხვა საგადახდო დავალებების ჩათვლით
- სავაჭრო დებიტორული ბარათების მომსახურებას

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, იხ. 66.19.10

66.19.99 საფინანსო მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა დამხმარე მომსახურება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, დაზღვევის და საპენსიო ფონდების გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საბროკერო მომსახურებას გირავნობსთან და სესხებთან დაკავშირებით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას მონეტების და ბანკნოტების შეფუთვით, იხ. 82.92.10

66.2 დაზღვევასთან და საპენსიო ფონდებთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურება

66.21 მომსახურება რისკების და ზარალის შეფასებით

66.21.1 მომსახურება რისკების და ზარალის შეფასებით

66.21.10 მომსახურება რისკების და ზარალის შეფასებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- მომსახურებას სადაზღვევო პრეტენზიების გამოძიებით, დანაკარგის ან ზარალის ოდენობის განსაზღვრით, რომელიც იფარება სადაზღვევო პოლისის პირობებით და პრეტენზიების დარეგულირების მიზნით მოლაპარაკებებს
- მომსახურებას გამოძიებული პრეტენზიების შესწავლით და გადახდის ნებართვის გაცემას
- მომსახურებას ზარალის შეფასებით

66.22 სადაზღვევო აგენტების და ბროკერების მომსახურება

66.22.1 სადაზღვევო აგენტების და ბროკერების მომსახურება

66.22.10 სადაზღვევო აგენტების და ბროკერების მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ანუიტეტების და საგადასაზღვევო პოლისების გაყიდვით, დაკავშირებული მოლაპარაკებებით ან ამ პროდუქტების მიწოდებით

66.29 სადაზღვევო და საპენსიო ფონდების სხვა დამხმარე მომსახურება

66.29.1 სადაზღვევო და საპენსიო ფონდების სხვა დამხმარე მომსახურება

66.29.11 აქტუარიების მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სადაზღვევო რისკების და სადაზღვევო შენატანების გაანგარიშებით

66.29.19 სადაზღვევო და საპენსიო ფონდებთან დაკავშირებული სხვა დამხმარე მომსახურება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სადაზღვევო და საპენსიო ფონდების მართვას
- მომსახურებას გადარჩენილი ქონების მართვით
- საკონსულტაციო მომსახურებას დაზღვევის და საპენსიო მომსახურების დარგში

66.3 მომსახურება ფონდების მართვით

66.30 მომსახურება ფონდების მართვით

66.30.1 მომსახურება ფონდების მართვით

66.30.11 მომსახურება პორტფელის მართვით, საპენსიო ფონდების გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- კერძო პირების, ბიზნესის ან სხვების კუთვნილი პორტფელების მართვას გასამრჯელოს ან საკომისიო საფუძველზე, საპენსიო ფონდების გარდა

მმართველები იღებენ გადაწყვეტილებას, რომელი ინვესტიციების ყიდვა ან გაყიდვა არის შესაძლებელი. მართვადი პორტფელების მაგალითებს წარმოადგენენ ერთობლივი ან სხვა საინვესტიციო ფონდების ან ტრასტების პორტფელები.

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ტრანზაქციისთვის გასამრჯელოს საფუძველზე, იხ. 66.12.11

- საკონსულტაციო მომსახურებას პირადი საფინანსო დაგეგმვის საკითხებზე, რომელიც არ ითვალსიწინებს კლიენტის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, იხ. 66.19.91
- მომსახურებას საპენსიო ფონდებით, იხ. 66.30.12

66.30.12 მომსახურება საპენსიო ფონდების მართვით

სექცია L უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება

68 უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება

68.1 მომსახურება საკუთარი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით

68.10 მომსახურება საკუთარი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით

68.10.1 მომსახურება საკუთარი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით

68.10.11 მომსახურება საცხოვრებელი შენობების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საცხოვრებელი შენობების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების დამოუკიდებლად გაყიდვას როგორც გამყიდველის მიერ საკუთარი სასაქონლო მარაგების რეალიზაციას, და არა საკუთარი ძირითადი ფონდების გაყიდვას
- მიწის ნაკვეთებთან ერთად სახლების, მიწის ნაკვეთებთან ერთად მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების და ამ შენობებში ცალკეული საცხოვრისების, როგორიცაა ბინები და კონდომინიუმები, გაყიდვას. ასეთი უძრავი ქონება შეიძლება იყოს როგორც იჯარის უფლებით შეძენილი საკუთრება, ისე უპირობო საკუთრება

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- გამყიდველის მიერ აშენებული საცხოვრისების გაყიდვას, იხ. 41.00.10
- მომსახურებას ცარიელი მიწის ნაკვეთების გაყიდვით საცხოვრებელი შენობებით განაშენიანებისთვის, იხ. 68.10.13

68.10.12 მომსახურება წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების დამოუკიდებელ გაყიდვას

68.10.13 მომსახურება ცარიელი მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვით საცხოვრებელი შენობებით განაშენიანებისთვის

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებისთვის განკუთვნილი საკუთარი ცარიელი მიწების დამოუკიდებლად გაყიდვას როგორც გამყიდველის მიერ საკუთარი სასაქონლო მარაგების რეალიზაციას. ასეთი ცარიელი მიწა შეიძლება შეიცავდეს ცალკეულ ცარიელ ნაკვეთებს

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს:
- უძრავი ქონების ნაკვეთებად დანაწილებას, მიწის ხარისხის გაუმჯობესების გარეშე

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:

- მიწის ნაკვეთებად დანაწილებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, იხ. 42.99.29

68.10.14 მომსახურება არასაცხოვრებელი შენობების და მათ მიერ დაკავებული ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საკუთარი არასაცხოვრებელი შენობების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების დამოუკიდებლად გაყიდვას როგორც გამყიდველის მიერ საკუთარი სასაქონლო მარაგების რელიზაციას, და არა საკუთარი ძირითადი ფონდების გაყიდვას

არასაცხოვრებელი ფონდის ობიექტების მაგალითებია:

- საწარმოო და ადმინისტრაციული შენობები, საწყობები
- თეატრები და მრავალფუნქციური შენობები, რომლებიც ძირითადად არასაცხოვრებელია
- სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საკუთრება
- მსგავსი საკუთრება

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- გამყიდველის მიერ აშენებული არასაცხოვრებელი საკუთრების გაყიდვას, იხ. 41.00.20
- მომსახურებას ცარიელი მიწების გაყიდვით არასაცხოვრებელი შენობებით განაშენიანებისთვის, იხ. 68.10.15

68.10.15 მომსახურება ცარიელი მიწების ყიდვა-გაყიდვით არასაცხოვრებელი შენობებით განაშენიანებისთვის

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ცარიელი მიწების დამოუკიდებლად გაყიდვას არასაცხოვრებელი შენობებით განაშენიანებისთვის როგორც გამყიდველის მიერ საკუთარი სასაქონლო მარაგების რეალიზაციას. ასეთი ცარიელი მიწა შეიძლება შეიცავდეს ცალკეულ ცარიელ ნაკვეთებს

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს:
- უძრავი ქონების ნაკვეთებად დანაწილებას, მიწის ხარისხის გაუმჯობესების გარეშე

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მიწის ნაკვეთებად დანაწილებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, იხ. 42.99.29

68.2 მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავებით და მართვით

68.20 მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავებით და მართვით

68.20.1 მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავებით და მართვით

68.20.11 მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრისების გაქირავებით და მართვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- მომსახურებას საცხოვრისების იჯარით გაცემით და მართვით მათი მფლობელების ან მოიჯარეების მიერ:

- სახლების, ბინების, მრავალბინიანი სახლების
- მრავალმიზნობრივი დანიშნულების შენობების, ძირითადად საცხოვრებლად გამოსაყენებელს
- მობილური სახლების განსათავსებელი სადგომების
- წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი ფართობების

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სასტუმროების, მოტელების, ავეჯიანი ოთახების, სასკოლო საერთო საცხოვრებლების, კემპინგების და სხვა დროებითი საცხოვრებელი ადგილების მიერ დროებითი განთავსებისთვის მიწოდების მომსახურებას, იხ. განყოფილება 55

68.20.12 მომსახურება საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავებით და მართვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სამრეწველო, კომერციული ან სხვა არასაცხოვრებელი შენობების ან ქონების გაქირავებით და მართვით მათი მფლობელების ან მოიჯარეების მიერ:

- საწარმოო და ადმინისტრაციული შენობების და საწყობების
- თეატრების, ყრილობათა სასახლეების, საგამოფენო დარბაზების და მრავალმიზნობრივი დანიშნულების შენობების, ძირითადად არასაცხოვრებელი ტიპის
- სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო დანიშნულების და მსგავსი შენობების

- მობილური სახლების განსათავსებელი სადგომების, ავტოფარეხების ან სხვა ადგილების გაქირავებას ან ლიზინგს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისთვის თვიური ან წლიური ვადით

68.3 უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.31 უძრავი ქონების სააგენტოების მომსახურება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.31.1 უძრავი ქონების სააგენტოების მომსახურება გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.31.11 მომსახურება საცხოვრებელი შენობების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების გაყიდვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია სახლების, ბინების, მრავალბინიანი შენობების და საცხოვრებელი ფონდის სხვა შენობების გაყიდვით, და მსგავს შუამავლურ მომსახურებას, დაკავშირებულს საცხოვრებელი შენობების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვასთან და გაქირავებასთან გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების გაყიდვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, იხ. 68.31.12

68.31.12 მომსახურება წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების გაყიდვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მომსახურებას წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების გაყიდვით

68.31.13 მომსახურება სამოქალაქო მშენებლობისთვის ცარიელი მიწების გაყიდვით გასამრჯელოს ან კონტრაქტის საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- უძრავი ქონების სააგენტოების და საბროკერო კომპანიების მომსახურებას ცარიელი მიწების გაყიდვით და მსგავს საშუამავლო მომსახურებას საბინაო მშენებლობისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვით ან იჯარით, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.31.14 მომსახურება არასაცხოვრებელი სახლების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების გაყიდვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- უძრავი ქონების სააგენტოების და საბროკერო კომპანიების მომსახურებას არასაცხოვრებელი შენობების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების გაყიდვით, როგორიცაა საოფისე შენობები, საწარმოო შენობები, მაღაზიები და ა.შ. და მსგავს საშუამავლო მომსახურებას არასაცხოვრებელი სახლების და მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების ყიდვით, გაყიდვით და იჯარით, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.31.15 მომსახურება ცარიელი მიწების გაყიდვით არასაცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- უძრავი ქონების სააგენტოების და საბროკერო კომპანიების მომსახურებას ცარიელი მიწების ნაკვეთების გაყიდვით და მსგავს საშუამავლო მომსახურებას მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვით არასაცხოვრებელი განაშენიანებისთვის ან იჯარით, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.31.16 მომსახურება უძრავი ქონების შეფასებით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საცხოვრებელი სახლების და მიწების, არასაცხოვრებელი სახლების და მიწების და აგრეთვე ცარიელი მიწების შეფასებით, რომლებიც განკუთვნილია ან არ არის განკუთვნილი საბინაო მშენებლობისთვის, გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.32 მომსახურება უძრავი ქონების მართვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.32.1 მომსახურება უძრავი ქონების მართვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.32.11 მომსახურება საცხოვრებელი ფონდის მართვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე, წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას საცხოვრებელი ფონდის სახლების და ობიექტების ექსპლუატაციით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე
- მომსახურებას მრავალბინიანი შენობების (ან მრავალფუნქციური დანიშნულების შენობების, ძირითადად საცხოვრებელი) ექსპლუატაციით
- მომსახურებას მობილური სახლების განსათავსებელი მოედნების ექსპლუატაციით
- მომსახურებას საერთო საკუთრებაში მყოფი საცხოვრისების ექსპლუატაციით

68.32.12 მომსახურება წელიწადის ფიქსირებული დროით საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების მართვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

68.32.13 მომსახურება არასაცხოვრებელი ფონდის ობიექტების მართვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სამრეწველო და კომერციული შენობების, მრავალფუნქციური დანიშნულების შენობების ექსპლუატაციით, რომლებიც ძირითადად არასაცხოვრებელი და ა.შ.
- მომსახურებას სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და მსგავსი ქონების მართვით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- შენობების მოვლასთან დაკავშირებულ მომსახურებას: (მომსახურების ერთობლიობას, როგორიცაა სათავსოების საერთო შიდა დალაგება, ტექნიკური მომსახურება და წვრილი რემონტი, ნაგვის გატანა, ობიექტების დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა), იხ. 81.10.10
- შენობების მართვას, როგორიცაა სამხედრო ბაზები, ციხეები და სხვა შენობები (ელექტრონულ-გამოთვლითი ცენტრების სათავსოების მართვის გარდა), იხ. 81.10.10
- მომსახურებას სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ექსპლუატაციით, იხ. 93.11.10
- მომსახურებას გამაჯანსაღებელი და გასართობი ობიექტების ექსპლუატაციით, იხ. 93.29.1

სექცია M პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მომსახურება

69 იურიდიული და სააღრიცხვო მომსახურება

69.1 იურიდიული მომსახურება

69.10 იურიდიული მომსახურება

69.10.1 იურიდიული მომსახურება

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- სასამართლო ორგანოებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ მომსახურებას, იხ. 84.23.11

69.10.11 სისხლის სამართალთან დაკავშირებული იურიდიული კონსულტირება და წარმომადგენლობითი მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- კონსულტაციებს, წარმომადგენლობას და მათთან დაკავშირებულ მომსახურებას (დაცვა, მტკიცებულებების მოძიება, ექსპერტიზა და ა.შ), სისხლის სამართლის საკითხებზე

69.10.12 იურიდიული კონსულტირება და წარმომადგენლობითი მომსახურება სასამრთლო პროცედურებში სამეწარმეო საქმიანობის სამართალთან და კომერციულ სამართალთანდაკავშირებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- კონსულტაციებს, წარმომადგენლობას და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას სასამრთლო და კვაზისასამართლო პროცედურებში სამეწარმეო საქმიანობის სამართალთანდა კომერციულ სამართალთანდაკავშირებით

69.10.13 იურიდიული კონსულტირება და წარმომადგენლობითი მომსახურება სასამართლო პროცედურებში შრომის სამართალთან დაკავშირებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- კონსულტაციებს, წარმომადგენლობას და მათთან დაკავშირებულ მომსახურებას სასამართლო და კვაზისასამართლო პროცედურებში შრომის სამართალთან დაკავშირებით

69.10.14 იურიდიული კონსულტირება და წარმომადგენლობითი მომსახურება სასამართლო პროცედურებში სამოქალაქო სამართალთან დაკავშირებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- კონსულტაციებს, წარმომადგენლობას და მათთან დაკავშირებულ მომსახურებას სასამართლო და კვაზისასამართლო პროცედურებში სამოქალაქო სამართალთან დაკავშირებით

69.10.15 სამართლებრივი მომსახურება პატენტებთან, საავტორო უფლებებთან და ინტელექტუალური საკუთრების და სხვა უფლებებთან დაკავშირებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- დოკუმენტების შედგენას და დამოწმებას და მასთან დაკავშირებულ იურიდიულ მომსახურებას პატენტებთან, საავტორო უფლებებთან და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებებთან დაკავშირებით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:

- მომსახურებას ლიცენზიების გაცემით ინტელექტუალური საკუთრების და მსგავსი პროდუქტების გამოყენების უფლებაზე, იხ. 77.40.1

69.10.16 ნოტარიული მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- კანონიერი და მტკიცებულებითი ძალის მქონე აუთენტური დოკუმენტების შედგენას და შენახვას

აღნიშნული მომსახურება მიეწოდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა საოჯახო სამართალი (ქორწინების კონტრაქტები), მემკვიდრეობის სამართალი და ანდერძები, მინდობილობები, უძრავი ქონების გადაცემა, კომპანიების საქმიანობის მარეგულირებელი სამართალი და ა.შ

69.10.17 საარბიტრაჟო და საშემრიგებლო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დახმარების გაწევით საარბიტრაჟო ან საშუამავლო საშუალებით დავების გადასაწყვეტად მოსამსახურეებსა და ადმინისტრაციას შორის, საწარმოებსა ან კერძო პირებს შორის

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებასდავაში ერთერთი მხარის სახელით წარმომადგენლობით, იხ. 69.10.11-69.10.14

69.10.18 აუქციონების სამართლებრივი მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სამართლებრივ მომსახურებას აუქციონებზე ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას აქუციონებზე გაყიდვით, სამართლებრივ პროცედურებთან დაკავშირებული მომსახურების გარდა, იხ. 82.99.19

69.10.19 სხვა სამართლებრივი მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დოკუმენტების შენახვით მესამე პირის სახით და ქონებრივი დავების დარეგულირებით
- კლიენტების კონსულტირებას, დაკავშირებულს მათი კანონიერ უფლებებთან და ვალდებულებებთან და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველ სხვა სამართლებრივ მომსახურებას

69.2 სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო მომსახურება; მომსახურება საგადასახადო კონსულტირებით

69.20 სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო მომსახურება; მომსახურება საგადასახადო კონსულტირებით

69.20.1 საფინანსო სააუდიტო მომსახურება

69.20.10 საფინანსო სააუდიტო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ორგანიზაციის საანგარიშგებო დოკუმენტების და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით დასკვნის მომზადების მიზნით იმის შესახებ, ასახავს თუ არა ორგანიზაციის საფინანსო

ანგარიშები მისი საქმიანობის ნამდვილ მდგომარეობას მოცემული თარიღისთვის და მისი საქმიანობის შედეგებს ამ თარიღით დასრულებული პერიოდითვის, ანგარიშების საზოგადოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ანგარიშების შემოწმებით, იხ. 69.20.21
- მართვის სააუდიტო შემოწმებას, იხ. 70.22.11

69.20.2 მომსახურება ანგარიშების შედგენის დარგში

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას მონაცემთა დამუშავებით, იხ. 63.11.11

69.20.21 მომსახურება ანგარიშების შემოწმებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას წლიური და შუალედური საფინანსო ანგარიშების და სხვა საანგარიშგებო დოკუმენტაციის შემოწმებით. შემოწმების მასშტაბები ამ შემთხვევაში უფრო მცირეა, ვიდრე აუდიტის დროს, და ამიტომ ასეთი შემოწმების გარანტიის დონე უფრო დაბალია
- საბალანსო უწყისების ანალიზს და ა.შ

69.20.22 მომსახურება საფინანსო ანგარიშების შედგენით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას საფინანსო ანგარიშების შედგენით კლიენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ამასთან შესადგენი ანგარიშების უტყუარობის გარანტირება არ ხდება.
- მომსახურებას სამეწარმეო საქმიანობის საგადასახადო დეკლარაციების შედგენით, რომლებიც მიეწოდება პაკეტებში საფინანსო ანგარიშების მომზადებასთან ერთად ერთიანი გადახდით
- შემოსავლების უწყისების, საბალანსო უწყისების შედგენასდა ა.შ.

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას სამეწარმეო საქმიანობის საგადასახადო დეკლარაციების შედგენით, ცალკე მომსახურების სახით მისაწოდებულს, იხ. 69.20.3

69.20.23 საბუღალტრო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას საბუღალტრო აღრიცხვის დარგში, რომელიც შეიცავს კომერციული ოპერაციების კლასიფიცირებას და საბუღალტრო წიგნებში რეგისტრირებას ფულად გამოსახულებაში ან სხვა საზომ ერთეულში

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ხელფასის გაცემით, მათ შორის საგადახდო უწყებების გადათვლას და მთავარი საბუღალტრო წიგნების წარმოებას, იხ. 69.20.24
- საგადასახადო დეკლარაციებთან დაკავშირებულ მომსახურებას საბუღალტრო აღრიცხვის დარგში, იხ. 69.20.3
- მომსახურება თამასუქების ინკასირებით, იხ. 82.91.12

69.20.24 მომსახურება ხელფასის გაცემით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ხელფასის გაცემით, მათ შორის სახელფასო უწყისების შედგენას და მთავარი საბუღალტრო წიგნების წარმოებას

69.20.29 სხვა მომსახურება ანგარიშების შედგენით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სხვა მომსახურებას ანგარიშების შედგენით, როგორიცაა ოფიციალური ანგარიშების შემოწმების, შეფასების, შედგენის მომსახურება და ა.შ.

69.20.3 საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო დარგში

69.20.31 მომსახურება კორპორაციული გადასახადების დაგეგმვით და საკონსულტაციო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციული გადასახდების საკითხებზე და დეკლარაციების მომზადებას ყველა სახის გადასახადებზე, (მაგალითად, დღგ)

69.20.32 მომსახურება ინდივიდუალური გადასახდების მომზადებით და დაგეგმვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას გადასახადების მომზადებით და მათზე ხარჯების დაგეგმვით არაკორპორაციული საწარმოსთვის
- მომსახურებას გადასახადების მომზადებით და მათზე ხარჯების დაგეგმვით კერძო პირებისთვის

69.20.4 გადახდისუუნარობასადა დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული მომსახურება

69.20.40 გადახდისუუნარობასა და დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- კონსულტაციებს და დახმარებას გადახდისუუნარო საწარმოების ხელმძღვანელობის და კრედიტორებისთვის და/ან ზომების მიღებას გადახდისუუნარო საწარმოს ლიკვიდატორის ან ქონების მმართველის სახით

70 სათავო ოფისების მომსახურება; მომსახურება მართვის საკითხებზე კონსულტირებით

70.1 სათავო ოფისების მომსახურება

70.10 სათავო ოფისების მომსახურება

70.10.1 სათავო ოფისების მომსახურება

70.10.10 სათავო ოფისების მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სათავო ოფისების მიერ მართვის საკითხებზე მისაწოდებელ საკონსულტაციო მომსახურებას იმავე კომპანიის ან საწარმოს სხვა ქვედანაყოფებისთვის

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ჰოლდინგური კომპანიების მომსახურებას, რომლებიც არ მონაწილეობენ მართვაში, იხ. 64.20.10

70.2 მომსახურება მართვის საკითხებზე კონსულტირებით

70.21 საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის მომსახურება

70.21.1 საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის მომსახურება

70.21.10 საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საკონსულტაციო, მმართველობით და საოპერაციო დახმარების მომსახურებას, ლობირების ჩათვლით, ორგანიზაციის პრესტიჟის ამაღლების და ორგანიზაციის ან კერძო პირის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად საზოგადოებასთან, მთავრობასთან, ამომრჩევლებთან, მეწილეებთან და სხვ.

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას რეკლამის დაგეგმვით და შექმნით, იხ.73.11.11
- მომსახურებას მარკეტინგული კვლევებით და საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევით, იხ. 73.20

70.22 საკონსულტაციო მომსახურება ბიზნესის და მართვის სხვა საკითხებზე

70.22.1 საკონსულტაციო მომსახურება ბიზნესის მართვის საკითხებზე

70.22.11 საკონსულტაციო მომსახურება სტრატეგიული მართვის საკითხებზე

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საკონსულტაციო, მმართველობითი და ოპერატიული დახმარების მომსახურებას, რომელიც ეხება ბიზნესის პოლიტიკას და სტრატეგიას და ორგანიზაციის ზოგად დაგეგმვას, სტრუქტურის ფორმირებას და კონტროლს. უფრო კონკრეტულად ზოგადი ღონისძიებები მართვის დარგში საკონსულტაციო მომსახურებით შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთ ან რამდენიმე სახის შემდეგ მომსახურებასთან:

- პოლიტიკის შემუშავებასთან
- საორგანიზაციო სტრუქტურის (გადაწყვეტილების მიღების სისტემის) განსაზღვრასთან, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებს
- იურიდიულ ორგანიზაციით
- სტრატეგიული ბიზნეს-გეგმებით
- საკონსულტაციო მომსახურებით სამეურნეო საქმიანობის განვითარების და რესტრუქტურიზაციის საკითხებზე, როგორიცაა შერწყმა, შეძენა, ერთობლივი საწარმოები, სტრატეგიული კავშირები, დივერსიფიცირება, პრივატიზაცია
- მმართველობითი საინფორმაციო სისტემის განსაზღვრით
- მმართველობითი მოხსენებების მომზადებით და კონტროლით
- სამეწარმეო საქმიანობის გეგმების შეცვლით
- მართვის აუდიტით
- მომგებიანობის ამაღლების პროგრამების შემუშავებით
- სხვა საკითხებით, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებულ ინტერესს ორგანიზაციის უმაღლესი დონის მმართველობისთვის

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას იურიდიული კონსულტირებით და წარმომადგენლობით, იხ. 69.10.1
- შერწყმების და შეძენების ორგანიზატორი მრჩევლების და შუამავლების მომსახურებას, იხ. 66.19.21

70.22.12 საკონსულტაციო მომსახურება ფინანსური მართვის საკითხებზე (კორპორაციული დაბეგვრის საკითხების გარდა)

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას საკონსულტაციო, მმართველობითი და საოპერაციო დახმარების უზრუნველყოფით, რომელიც ეხება ფინანსური ხასიათის ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა:

- საბრუნავი კაპიტალის და ლიკვიდურობის მართვა, კაპიტალის შესაბამისი სტრუქტურის განსაზღვრა
- შემოთავაზებული კაპიტალდაბანდებების ანალიზი
- აქტივების მართვა
- ანგარიშგების და ბიუჯეტის სისტემების და აგრეთვე საბიუჯეტო კონტროლის შემუშავება
- საფინანსო საკონსულტაციო მომსახურება, დაკავშირებული შერწყმებთან, შეძენებთან და ა.შ., როგორიცაა რეკომენდაციები შეფასების მეთოდების, გადახდის მეთოდების, კონტროლის მეთოდების, საერთაშორისო ფინანსების საკითხებზე

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას საბუღალტრო აღრიცხვის სისტემებისთვის კომპიუტერული პროგრამული უზრნველყოფის დაპროექტებით და შემუშავებით, იხ. 62.01.1
- ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ საბროკერო ოპერაციებს, იხ. 66.12.11
- მომსახურებას პორტფელების და ფონდების მართვით, იხ. 66.30.11
- მომსახურებას ანგარიშების შედგენით, საბუღალტრო აღრიცხვით და საფინანსო აუდიტით, იხ. 69.20

70.22.13 საკონსულტაციო მომსახურება მარკეტინგის მართვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას საკონსულტაციო, მმართველობითი და საოპერაციო დახმარების უზრუნველყოფით, რომელიც ეხება ორგანიზაციების სტრატეგიას მარკეტინგის და სამარკეტინგო ოპერაციების დარგში. კონსულტაციები მარკეტინგის მართვის საკითხებზე შეიძლება დაკავშირებული იყოს ქვემოთ მოყვანილი მომსახურების ერთ ან რამდენიმე სახესთან:
. მარკეტინგის სტრატეგიის ანალიზსა და შემუშავებასთან
. მომხმარებლის მომსახურების, ფასწარმოქმნის, სარეკლამო და გავრცელების არხების პროგრამების შემუშავებასთან
. მმართველობითი აპარატის და კადრების მომზადებასთან პროდუქციის რეალიზაციისთვის
. მარკეტინგის არხების ორგანიზაციასთან (რეალიზაცია ბითუმად მოვაჭრეებისთვის ან უშუალოდ საცალო მოვაჭრეებისთვის, პირდაპირი გადაგზავნა ფოსტით, სპეციალური შეღავათების შეთავაზება და ა.შ.), შეფუთვის დიზაინთან და ორგანიზაციის მარკეტინგის სტრატეგიასთან და ოპერაციებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საზოგადოებასთან ურთიერთობასთან და საკომუნიკაციო მომსახურებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, იხ. 70.21.0
- სარეკლამო მომსახურებას, იხ. 73.11

70.22.14 საკონსულტაციო მომსახურება შრომითი რესურსების მართვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას საკონსულტაციო, მმართველობითი და საოპერაციო დახმარების უზრუნველყოფით ორგანიზაციის სტრატეგიის, პოლიტიკის, პრაქტიკის და პროცედურების დარგში, რომლებიც დაკავშირებულია მის შრომით რესურსებთან. კონსულტაციები შრომითი რესურსების საკითხებზე შეიძლება იყოს დაკავშირებული იყოს ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურების ერთ ან რამდენიმე საკითხთან:

- პერსონალის აყვანა, ხელფასი, გარანტიები და კომპენსაციები,
- პერსონალის მუშაობის შემოწმება და შეფასება
- ორგანიზაციული განვითარება (ურთიერთქმედების გაუმჯობესება ჯგუფებში და მათ შორის)
- თანამშრომლების სწავლება და მათი განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილება
- განთავისფლებული თანამშრომლების დასაქმების პროცედურები და თანამშრომლების დახმარების გეგმები
- მემკვიდრეობითობის დაგეგმვა
- სამთავრობო ნორმატიული მოთხოვნების დაცვა ისეთ სფეროებში როგორიცაა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, სამუშაო ძალის ხელფასი და შრომით მოწყობაში თანასწორობა
- ურთიერთობები სამუშაო ძალასა და ხელმძღვანელობას შორის
- შრომითი რესურსების აუდიტი

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საკონსულტაციო მომსახურებას დასაქმებით ან ხელმძღვანელი პერსონალის მოძიებით, იხ. 78.10.1
- საკონსულტაციო მომსახურება განათლების დარგში, იხ. 85.60.10

70.22.15 საკონსულტაციო მომსახურება წარმოების მართვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს საკონსულტაციო მომსახურებას წარმოების მართვით, როგორიცაა:

- სისტემების და პროცედურების სრულყოფა
- საოფისე და ოპერატიული მომსახურების სრულყოფა, როგორიცაა
  - ოფისის დაგეგმვა
  - სამუშაო პროცესების დაგეგმვა და შრომითი სტანდარტების დაცვა
- ოფისების ავტომატიზაცია, როგორიცაა ავტომატიზებული სისტემების შერჩევა და დაყენება
- პროდუქტების შემუშავება, ხარისხის კონტროლი და კონტროლის მართვა
- უსაფრთხოება და დაცვა საწარმოში

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საკონსულტაციო მომსახურება მომარაგების ჯაჭვების მართვით, იხ. 70.22.16
- საინჟინრო საკონსულტაციო და დაგეგმვის მომსახურებას მოწყობილობების განთავსების და საწარმოო პროცესების დაპროექტებით, იხ. 71.12.17
- აგრონომების და სოფლის მეურნეობის ეკონომისტების მიერ მიწოდებულ მომსახურებას, იხ. 74.90.19

70.22.16 საკონსულტაციო მომსახურება მომარაგების ჯაჭვების მართვის და მართვის სხვა საკითხებში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საკონსულტაციო მომსახურებას მომარაგების ინტეგრირებული ჯაჭვების მართვით. საკონსულტაციო მომსახურება მომარაგების ინტეგრირებული ჯაჭვების მართვით არის კომპლექსური პროდუქტი, რომელიც შეიცავს მომსახურებას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, დასაწყობების და შენახვის და დისტრიბუციის მართვის საკითხებში
- საკონსულტაციო მომსახურებას ლოგისტიკის მართვით, როგორიცაა:
    - კონსულტაციები ლოგისტიკის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მართვასთან, ანუ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასთან კლიენტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უფრო ეფექტიანი მოთხოვნების განსაზღვრისთვის
    - კონსულტაციები ლოგისტიკის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დისტრიბუციასთან და ტრანსპორტირებასთან ორგანიზაციის ფარგლებში საქონლის შენახვის, გადატვირთვის და გადატანისთვის კლიენტის მიერ გამოყენებელი პროცესების ჩათვლით, კლიენტისგან მომხმარებლისათვის საქონლის მისაწოდებლად
    - კონსულტაციები ლოგისტიკის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დასაწყობებასთან და შენახვასთან, საქონლის მიღების, შენახვის და გაცემის პროცესების ჩათვლით
    - კონსულტაციები ლოგისტიკის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკურ მომსახურებასთან
- სხვა საკონსულტაციო მომსახურებას მართვის საკითხებზე, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საკონსულტაციო მომსახურებას არქიტექტურის დარგში, იხ. 71.11.24
- საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურებას, იხ .71.12.11
- საკონსულტაციო მომსახურებას გარემოს დაცვის საკითხებზე, იხ 74.90.13
- სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი სხვა სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურებას, იხ. 74.90.19

70.22.17 მომსახურება ბიზნესის პროცესების მართვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს კომპლექსური მომსახურების მიწოდებას, რომელიც მოითხოვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენების შეთავსებას სამუშაო ძალასთან (კვალიფიციურ ან არა კვალიფიციურ, გადაწყვეტილების შესაბამისად), მოწყობილობებთან და სათავსოებთან კლიენტისთვის ბიზნეს-პროცესების მხარდაჭერის, განთავსების და მართვისთვის:

- ფინანსური ბიზნეს პროცესებით, როგორიცაა ტრანზაქციების დამუშავება, ინფორმაციის დამუშავება საკრედიტო ბარათებით, გადასახდელებთან დაკავშირებული მომსახურება, სესხების გაცემასთან დაკავშირებული მომსახურება
- ბიზნეს პროცესებით, რომლებიც დაკავშირებულია შრომით რესურსებთან, როგორიცაა დამსაქმებლის მიერ გაწეული შეღავათების მართვა, ხელფასის გაანგარიშება, კადრების მართვა

- მიწოდების ჯაჭვის ბიზნეს პროცესების მართვით, როგორიცაა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მართვა, შესყიდვების მომსახურება, მომსახურება ლოგისტიკის დარგში, წარმოების დაგეგმვა და შეკვეთების დამუშავება
- მომხმარებლებთან ურთიერთობების ბიზნეს პროცესების მართვით, როგორიცაა დახმარების სამსახურები, სატელეფონო საინფორმაციო სისტემები, მყიდველებისთვის მომსახურების გაწევა
- ვერტიკალური საბაზრო ბიზნეს-პროცესების, რომელსაც განახორციელებენ მრეწველობის განსაზღვრული დარგები, როგორიცაა ენერგეტიკული, ქიმიური, ნავთობის მრეწველობა
- კლიენტისთვის სხვა ბიზნეს პროცესების

70.22.2 სხვა მომსახურება პროექტების მართვით, სამშენებლო პროექტების მართვის გარდა

70.22.20 სხვა მომსახურება პროექტების მართვით, სამშენებლო პროექტების მართვის გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას რესურსების კოორდინირებით და კონტროლით მათ გამოყენებაზე პროექტის მომზადების, განხორციელების და დასრულების პროცესში კლიენტის მოთხოვნით
- მომსახურებას პროექტების მართვით, რომელიც შეიძლება შეიცავდეს საბიუჯეტო კონტროლს, კონტროლს ანგარიშგებაზე და ხარჯებზე, შესყიდვებს, სამუშაოების გრაფიკის და სამუშაოების სხვა პირობების დაგეგმვას, სუბმენარდეების მუშაობის კოორდინირებას, ხარისხის შემოწმებას და კონტროლს და ა.შ.
- მომსახურებას პროექტების მართვით, რომელიც შეიცავს მომსახურებას მართვის საკითხებზე და ადმინისტრაციულ მომსახურებას საკუთარი პერსონალის მიწოდებით ან მის გარეშე

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას სამშენებლო პროექტების მართვით, იხ. 71.12.20

70.22.3 სხვა საკონსულტაციო მომსახურება მეწარმეობის დარგში

70.22.30 სხვა საკონსულტაციო მომსახურება მეწარმეობის დარგში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას რეგიონული განვითარებით, სამრეწველო განვითარებით ან ტურიზმის განვითარებით

70.22.4 სასაქონლო ნიშნები და ფრანშიზები

70.22.40 სასაქონლო ნიშნები და ფრანშიზები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ორიგინალურ სასაქონლო ნიშნებს და ფრანშიზებს, ანუ კონკრეტული სასაქონლო ნიშნის ოფიციალურად დარეგისტრირებულ საკუთრებას

მოცემული პროდუქტები იწარმოება საკუთარი ხარჯით მოგების მიღების მიზნით სხვა პირებზე მოცემული სასაქონლო ნიშნების ან ფრანშიზების გამოყენებაზე ნებართვის გაცემით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:

- მომსახურებას ლიცენზიების გაცემით სასაქონლო ნიშნების და ფრანშიზების გამოყენების უფლებაზე, იხ. 77.40.12
- მეცნიერულ კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს, რომელთა შედეგად მიიღება სასაქონლო ნიშნით აღჭურვილი პროდუქტი ან ცნება, იხ. განყოფილება 72
- გასაღების არხების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას, (ფრანშიზების ჩათვლით), იხ. 62.22.13
- სავაჭრო ნიშნებზე და ფრანშიზებზე უფლებებთან დაკავშირებულ მართვის მომსახურებას, იხ. 74.90.20

71 არქიტექტურული და საინჟინრო მომსახურება; მომსახურება ტექნიკური ტესტირებით და ანალიზით

71.1 არქიტექტურული და საინჟინრო მომსახურება და მასთან დაკავშირებული ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება

მოცემული ჯგუფი შეიცავს:
- მომსახურებას დაპროექტებით (შენობების, კონსტრუქციების, სისტემების და კომპონენტების დეტალური ნახაზები, ესკიზები და ნახატები, შექმნილი არქიტექტორ-კონსტრუქტორების და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების მიერ საინჟინრო და არქიტექტურული სპეციფიკაციების თანახმად)

71.11 არქიტექტურული მომსახურება

71.11.1 გეგმები და პროექტები არქიტექტურული მიზნებისთვის

71.11.10 გეგმები და პროექტები არქიტექტურული მიზნებისთვის

71.11.2 შენობების არქიტექტურული მომსახურება

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ინტერიერის გაფორმებით, იხ. 74.10.11

71.11.21 არქიტექტურული მომსახურება საბინაო მშენებლობის პროექტებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს არქიტექტურულ მომსახურებას:
- ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო პროექტებით
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო პროექტებით

71.11.22 არქიტექტურული მომსახურება არასაცხოვრებელი შენობების პროექტებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს არქიტექტურულ მომსახურებას:
- საოფისე შენობების პროექტებით
- საცალო ვაჭრობის და რესტორნების პროექტებით
- სასტუმროების და საკონფერენციო ცენტრების პროექტებით
- ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების პროექტებით
- გასართობი, სარეკრეაციო და კულტურული შენობების პროექტებით
- სასწავლო შენობების პროექტებით
- სამრეწველო შენობების პროექტებით
- სატრანსპორტო და გამანაწილებელი ობიექტების პროექტებით
- სხვა არასაცხოვრებელი შენობების პროექტებით

71.11.23 არქიტექტურული მომსახურება ისტორიული ძეგლების რესტავრირებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- არქიტექტურულ მომსახურებას, რომელშიც ჩართულია საკანონმდებლო მოთხოვნები ისტორიული ხასიათის შენობების მოვლის ან რესტავრირების მიმართ

71.11.24 საკონსულტაციო მომსახურება არქიტექტურის დარგში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ექსპერტი მოწმის მომსახურებას არქიტექტურის დარგში, რომელიც მდგომარეობს სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში ჩვენების მიცემაში იმ მოწმის მიერ, რომელიც არქიტექტურის დარგში გამოცდილების, განათლების, უნარების ან ცოდნის საფუძველზე ითვლება კომპეტენტურად ამ დარგთან ან საგანთან დაკავშირებულ საკითხებზე დასაბუთებული მოსაზრების მისაწოდებლად
- არქიტექტურის სფეროში რეკომენდაციების მიწოდებას, კვლევების ჩატარებას და ანგარიშების შედგენას

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- რეკომენდაციების მიწოდებას, კვლევების ჩატარებას და ანგარიშების შედგენას არქიტექტურის დარგში, როდესაც ასეთი მომსახურება ჩართულია სხვა არქიტექტურული მომსახურების კომპლექსში კონკრეტული პროექტის ფარგლებში, იხ. კლასიფიკაცია პროექტის ტიპის შესაბამისად, დაჯგუფებები 71.11.21, 71.11.22, 71.11.23

71.11.3 მომსახურება ქალაქების და ტერიტორიების დაგეგმარებით

71.11.31 მომსახურება ქალაქების დაგეგმარებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას გეგმების შემუშავებით, რომლებიც ეხება მიწათსარგებლობას, განლაგების ადგილის შერჩევას, კონტროლს და გამოყენებას, საგზაო სისტემებს და მიწის ნაკვეთების მომსახურებას ქალაქების კოორდინირებული განვითარების სისტემის შექმნის და გაძღოლის მიზნით, როგორიცაა:
    - ქალაქმშენებლობის კომპლექსური გეგმები
    - ქალაქმშენებლობის გეგმები ცალკეული თემებისთვის
    - ქალაქმშენებლობის გეგმების ცალკეული ელემენტები, კონკრეტული კომუნალური კეთილმოწყობისთვის ან მიზნებისთვის, როგორიცაა ტრანსპორტი კომუნალური სამსახურები და ა.შ.
    - ქალაქების რეკონსტრუქციის და აღდგენის პროცესთან დაკავშირებული კვლევები და გეგმები
    - საქალაქო საზოგადოებრივ და კერძო ტრანსპორტთან და მისაწვდომობასთან დაკავშირებული კვლევები და გეგმები
    - ქალაქების მდგრადი სივრცითი განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებთან დაკავშირებული კვლევები და გეგმები
- პროექტის განხორციელებადობის ანალიზს
- საკონსულტაციო მომსახურებას ქალაქმშენებლობის დაგეგმარების დარგში, როგორიცაა ექსპერტული აზრის მიწოდება, სტრატეგიის და პროგრამების შეფასება და ქალაქმშენებლობის დაგეგმარებასთან დაკავშირებული სხვა საკონსულტაციო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს:

- გამოკვლევებს, რომლებიც ეხება ქალაქების განვითარების გეგმების ეკოლოგიურ შედეგებს და ეკონომიკურ შეფასებებს

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- არასაცხოვრებელი შენობების პროექტების განვითარებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, იხ. 41.00.20

71.11.32 მომსახურება სასოფლო ტერიტორიების დაგეგმარებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- გეგმების შემუშავებას, რომლებშიც მოცემულია სასოფლო ტერიტორიების განვითარების გრძელვადიანი მიზნების აღწერა ინფრასტრუქტურის, საბინაო მშენებლობის, მრეწველობის, სავაჭრო ნაგებობების, სარეკრეაციო და სხვა ობიექტების განვითარების დარგში
- დიდი გეოგრაფიული ტერიტორიების კომპლექსური გეგმები ხანგრძლივი პერიოდისთვის

71.11.33 მომსახურება საპროექტო ობიექტის გენერალური გეგმის შედგენით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს მომსახურებას სამშენებლო ტერიტორიის გეგმების შედგენით, რომლებშიც მითითებულია შენობების, გზების, ავტოსადგომების და სხვა დეტალების შესათავაზებული ადგილმდებარეობა:
- საბინაო მშენებლობის პროექტებისთვის
- არასაცხოვრებელი შენობების და ნაგებობების პროექტებისთვის
- სარეკრეაციო ხასიათის პროექტების და პროექტებისთვის ღია ცის ქვეშ

71.11.4 მომსახურება ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში და საკონსულტაციო მომსახურება არქიტექტურის დარგში

71.11.41 მომსახურება ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს მომსახურებას ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში:
- საბინაო მშენებლობის პროექტებისთვის:
    - ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტების
    - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტების
    - საცხოვრებელი მასივების პროექტების
- არასაცხოვრებელი მშენებლობის პროექტებისთვის:
    - კორპორაციული შენობების პროექტების
    - სასტუმროების, კონფერენც-ცენტრების, სტადიონების და არენების
    - სასწავლო შენობების პროექტების
    - ჯანმრთელობის დაცვის, პენიტენციური დაწესებულებების
    - სხვა არასაცხოვრებელი შენობების პროექტების
- რეკრეაციული პროექტებისთვის და პროექტებისთვის ღია ცის ქვეშ:
    - ქალაქების ცენტრების და საზოგადოებრივი მოედნების
    - არასაცხოვრებელი სარეკრეაციო შენობების, პარკების და ბუნებრივი ტერიტორიების
    - სატრანსპორტო დერეფნების
    - კურორტების
    - სხვა სარეკრეაციო პროექტების და პროექტების ღია ცის ქვეშ

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს მომსახურებას ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში, რომელიც დაკავშირებულია:

- ტერიტორიის მომზადებასა და სრულყოფასთან, როგორიცაა ადგილის გაწმენდის და ნაკვეთის მოსწორების გეგმები, სადრენაჟო სქემები, ეროზიასთან და ნატანებთან ბრძოლის პროექტები, საყრდენი კედლების სქემები, გარე საწვიმარი სისტემების გეგმები
- ნაკვეთთან მიდგომის გაადვილებასთან, როგორიცაა განათების გეგმები, მაჩვენებლების განლაგების გეგმები, გზების და ბილიკების განთავსების გეგმები, პროექტები მისადგომობის უზრუნველსაყოფად
- სპეციალური დანიშნულების კონსტრუქციებთან

71.11.42 საკონსულტაციო მომსახურება ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ექსპერტი მოწმის მომსახურებას ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში, რომელიც მდგომარეობს ჩვენების მიცემაში სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში იმ მოწმის მიერ, რომელიც ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში გამოცდილების, განათლების, უნარების ან ცოდნის საფუძველზე ითვლება კომპეტენტურად ამ დარგთან ან საგანთან დაკავშირებულ საკითხებზე დასაბუთებული მოსაზრების მისაწოდებლად
- რეკომენდაციების მიწოდებას, კვლევების ჩატარებას და ანგარიშების შედგენას ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- რეკომენდაციების წარდგენას, კვლევევბის ჩატარებას და ანგარიშების შედგენას ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში, როდესაც ასეთი მომსახურება ჩართულია ლანდშაფტური არქიტექტურის დარგში კონკრეტული პროექტის ფარგლებში სხვა მომსახურებასთან კომპლექსში, იხ. 71.11.41

71.12 საინჟინრო მომსახურება და ურთიერთდაკავშირებული ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება

71.12.1 საინჟინრო მომსახურება

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას სამეცნიერო კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ტექნიკური მეცნიერებების დარგში, იხ. 72.19.2

71.12.11 საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- კონსულტაციების და რეკომენდაციების მიწოდებას კლიენტებისთვის საინჟინრო პრინციპების და მეთოდების საკითხებზე საინჟინრო პროექტის მიუხედავად, სტრატეგიის ანალიზის, საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული კვლევების და აუდიტის ჩათვლით
- ჩვენებების მიცემას მოწმის მიერ, რომელიც გამოცდილების, განათლების, უნარების ან ცოდნის მიხედვით საინჟინრო საქმეში ითვლება კომპეტენტურად დასაბუთებული მოსაზრების მისაწოდებლად ასეთ საკითხებზე
- უწესივრო საინჟინრო სისტემის ან კონსტრუქციის საინჟინრო კვლევებს უწესივრობის ფაქტორების გამოსავლენად

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:

- ცალკეულ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილ რეკომენდაციებს, კვლევებს და ანგარიშებს, იხ. კლასიფიკაცია პროექტის ტიპის საფუძველზე 71.12.12-71.12.19 ქვეკატეგორიებში

71.12.12 სამშენებლო პროექტებთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საბინაო მშენებლობის პროექტებთან დაკავშირებული ნახაზების, გეგმების შექმნას და კვლევების ჩატარებას, როგორიცაა პროექტები, დაკავშირებული:

- ახალ და არსებულ სახლებთან
- მწკრივული გაშენების სახლებთან, ბინებთან და ა.შ.
- მრავალფუნქციურ შენობებთან, ძირითადად საცხოვრებელად გამოყენებულთან

- ნახაზების, გეგმების შექმნას და კვლევების ჩატარებას, რომლებიც დაკავშირებულია ახალი და არსებული სავაჭრო, საზოგადოებრივი და ინსტიტუციური შენობების სამშენებლო პროექტებთან, მრავალფუნქციური შენობების ჩათვლით, რომლებიც ძირითადად გამოიყენება სავაჭრო, საზოგადოებრივი და ინსტიტუციური მიზნებისთვის, როგორიცაა:

- საოფისე შენობები
- სავაჭრო ცენტრები
- სასტუმროები და რესტორნები
- მომსახურების სადგურები და საწყობები
- ავტობუსების და სატვირთო ტერმინალები
- საავადმყოფოები, სკოლები, ეკლესიები
- ციხეები, სტადიონები და სანახაობრივ-სპორტული ნაგებობები ცენტრალური არენით
- ბიბლიოთეკები და მუზეუმები

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს:
- საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი, კომერციული, საზოგადოებრივი ან ინსტიტუციური შენობის ან ნაგებობის მშენებლობის კონკრეტულ პროექტთან.

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ პროექტთან, იხ. 71.12.11

71.12.13 ენერგეტიკის პროექტებთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ობიექტებთან, რომლებზეც გამოიმუშავება:

- ელექტროენერგია ნახშირის ან სხვა სახის სათბობი წიაღისეულისგან, როგორიცაა ნავთობი და აირი
- ელექტროენერგია ბირთვული სათბობისგან
- ვარდნილი წყლის ენერგია
- სხვა ენერგია, როგორიცაა მზის ენერგია, ქარის ენერგია, გეოთერმული ენერგია, თბოელექტროსადგურებში გამოსამუშავებული ენერგიის ჩათვლით

- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია მიწისზედა ან მიწისქვეშა ელექტროგადამცემ და ელექტროენერგიის გამანაწილებელ ხაზებთან

71.12.14 საინჟინრო მომსახურება სატრანსპორტო პროექტების დარგში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს ყველა სახის საინჟინრო მომსახურებას (ნახაზების, გეგმების შედგენით და კვლევების ჩატარების ჩათვლით), რომელიც დაკავშირებულია:
- ავტომაგისტრალებთან, გზებთან და ქუჩებთან, მიწისზედა მაგისტრალების ჩათვლით, რომლებიც გამოიყენება ავტოსაგზაო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის
- ხიდებთან და გვირაბებთან
- დამხმარე საგზაო-სატრანსპორტო ნაგებობებთან, როგორიცაა დასასვენებელი მოედნები გზებთან, ასაწონი სადგურები, მგზავრობის საფასურის გადასახდელი პუნქტები
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემებთან, როგორიცაა მსუბუქი რელსიანი ტრანსპორტის ან მეტროპოლიტენის სისტემები
- რკინიგზებათან და მათთან დაკავშირებულ კონსტრუქციებთან
- სარკინიგზო ხიდებთან და გვირაბებთან
- საზღვაო და შიგა ნავსადგურებთან
- ნავსადგურებთან, რაბებთან, არხებთან და კაშხლებთან, რომლებიც ძირითადად სატრანსპორტო მიზნებისთვის გამოიყენება
- აეროპორტებთან, ასაფრენ-დასაჯდომ ბილიკებთან, ანგარებთან
- სხვა საავიაციო ნაგებობებთან
- კოსმოსური ტრანსპორტის პროექტებთან
- ნავთობის და აირის ტრანსპორტირების პროექტებთან
- სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველ სხვა სატრანსპორტო პროექტებთან

71.12.15 საინჟინრო მომსახურება ნარჩენების (სახიფათო და არასახიფათო) მართვის პროექტების დარგში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების და მოცილების სისტემებთან, როგორიცაა:
    - ნარჩენების გადასამუშავებელი დანადგარები
    - ნარჩენების კომპოსტირების დანადგარები
    - გადასატვირთავი სადგურები
    - სარეკუპერაციო დანადგარები
    - ნაგავსაყრელები
- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ჰაერის, წყლის დაბინძურების სამრეწველო წყაროების და მყარი ნარჩენების შეგროვების, გასუფთავების, გადამუშავების და მოცილების პროექტებთან, ჩვეულებრივ ისეთ დონემდე, რომლის მიღწევის შემდეგ ნარჩენების დარჩენილი ნაკადი რისკის გარეშე შეიძლება ჩაშვებული იქნეს ბუნებრივ გარემოში ან ჩვეულებრივ მუნიციპალურ სისტემებში
- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებუია სახიფათო ნარჩენების გასუფთავების პროგრამებთან, როგორიცაა:
    - რადიოაქტიური ნარჩენების მართვა
    - ქიმიური აგენტების მოსპობა

- ძველი სამრეწველო რაიონის ხელახლა დაგეგმარება და განაშენიანება
- გრუნტის წყლების მოდელირება
- დაბინძურებული ადგილების რეკულტივირება

71.12.16 საინჟინრო მომსახურება წყლის, საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემების პროექტების დარგში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია წყლის შეგროვების, განაწილების, გაწმენდის და მოცილების სისტემებთან, როგორიცაა:

- სასმელი წყლის გამანაწილებელი სისტემები, სატუმბი სადგურები, რეზერვუარები, წყალსაცავი ნაგებობები, წყლის მისაწოდებელი და გამანაწილებელი მაგისტრალური მილსადენები, საგუბარების ჩათვლით, გამოსაყენებელი უპირატესად სასმელი წყლის ადგილობრივი განაწილებისთვის და სამტკნარებელი დანადგარებისთვის
- სანიაღვრო ჩამდინარე წყლების მართვის სისტემები, სადრენაჟო და წყალმოვარდნის საწინააღმდეგო წყალსაცავების სისტემები, კაშხლების ჩათვლით, უპირატესად წყალმოვარდნის ჩასადენის რეგულირებისთვის გამოსაყენებელი
- ჩამდინარე წყლების შეგროვების, გაწმენდის და მოცილების სისტემები
- სარწყავი სისტემები და წყალგამტარები, ჯებირების ჩათვლით, უპირატესად სარწყავად გამოსაყენებელი

71.12.17 საინჟინრო მომსახურება დაკავშირებული სამრეწველო და დამამუშავებელი მრეწველობის პროექტებთან

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს ფიზიკის კანონების და საინჟინრო პრონციპების გამოყენებას მანქანების, მასალების, ინსტრუმენტების, სტრუქტურების, პროცესების და სისტემების დაპროექტების, შემუშავების და გამოყენების დროს

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სამრეწველო ობიექტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ საინჟინრო მომსახურებას:

- სამთო-მოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის ობიექტებეთან, როგორიცაა შახტები, მეტალურგიული კომბინატები, საგლინი საამქროები, ქარხნები, მინერალური რესურსების გადასამუშავებელი ქარხნები, ნაგებობების და პროცესების გამაერთიანებელი კომპლექსური საინჟინრო-ტექნიკური პროექტების ჩათვლით
- სამთო-მოპოვებითი და მეტალურგიული მრეწველობის პროექტებთან, როგორიცაა მინერალური სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ლითონების გამოდნობა, გამოხდა, დამუშავება ბურბუშელის მოცილების გარეშე
- ნავთობის და ნავთობქიმიურ ნაგებობებთან, როგორიცაა ნავთობის და აირის პლატფორმები, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, მილსადენები, ნავთობქიმიური ქარხნები, ნაგებობების და პროცესების გამაერთიანებელი კომპლექსური საინჟინრო-ტექნიკური პროექტების ჩათვლით

- ნავთობის და ნავთობის და ნავთობქიმიის პროდუქტების წარმოების პროცესებთან, როგორიცაა მოპოვება, გამოხდა, შედგენილობების მომზადება, შერევა
- ობიექტებთან და პროცესებთან მიკროელექტრონიკის დარგში, მაგალითად, მიკროპროცესორების, კაჟისკრისტალების და ფირფიტების, ინტეგრალური სქემების და ნახევარგამტარების წარმოებასთან
- ტექსტილის წარმოების და ტანსაცმლის წარმოების ობიექტებთან და პროცესებთან
- შავი ლითონების წარმოების ობიექტებთან და პროცესებთან
- სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველ სხვა სამრეწველო ობიექტებთან და პროცესებთან

- ქარხნული წარმოების სამრეწველო ნაკეთების და პროდუქტების დაპროექტებასთან დაკავშირებულ საინჟინრო მომსახურებას:

- სამრეწველო მოწყობილობების, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, სამთო-მოპოვებითი, ლითონდამამუშავებელი, სავაჭრო და მომსახურების სფეროს მოწყობილობები, სათბობი, სავენტილაციო და ჰაერის კონდიცირების მოწყობილობები, ენერგიის გადასაცემი მოწყობილობები
- ელექტრონული მოწყობილობების, როგორიცაა კომპიუტერები და პერიფერიული მოწყობილობები, კავშირგაბმულობის, აუდიო- და ვიდეო მოწყობილობებისთვის, ნახევარგამტარები და სხვა ელექტრონული კომპონენტები
- ელექტრომოწყობილობების, როგორიცაა სანათი ხელსაწყოები, მსხვილი და წვრილი ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები და მათი შემადგენელი ნაწილები
- სატრანსპორტო მოწყობილობების, როგორიცაა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, საჰაერო ხომალდები, მატარებლები, საზღვაო ხომალდები, კოსმოსური ხომალდები
- სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ქარხნული წარმოების სამრეწველო ნაკეთების და პროდუქტები

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას სამრეწველო დიზაინით, იხ. 74.10.12

71.12.18 საინჟინრო მომსახურება დაკავშირებული სატელეკომუნიკაციო და სამაუწყებლო პროექტებთან

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ქსელის დაბოლოების პუნქტებს შორის სპილენძის სადენებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით, კოაქსიალური კაბელებით და ჰიბრიდული ოპტიკურ-კოაქსიალური კაბელებით ხმოვანი შეტყობინებების და მონაცემების გადამცემ სისტემებთან
- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ქსელური დაბოლოების პუნქტებს შორის მოკლე ტალღების ან მიკროტალღების დახმარებით ხმოვანი შეტყობინებების, მონაცემების და პროგრამების გადამცემ სისტემებთან, როგორიცაა:

- რადიოსატელეფონო კავშირის სისტემები

- თანამგზავრული რადიოკავშირის სისტემები
- პირდაპირი მაუწყებლობის თანამგზავრული სისტემები

- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია რადიო და სატელევიზიო სიგნალების გადამცემ სისტემებთან
- სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველ საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ხმოვანი შეტყობინებების, მონაცემების ან პროგრამების გადამცემ და დაგზავნის სისტემებთან,

71.12.19 საინჟინრო მომსახურება დაკავშირებული სხვა პროექტებთან

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია:
  - ბუნებრივი აირის და ორთქლის განაწილების პროექტებთან
  - სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველ სხვა კომუნალურ პროექტებთან
- სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველ საინჟინრო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია სისტემებთან, პროცესებთან, საშუალებებთან ან პროდუქტებთან, მათთან დაკავშირებული პროექტების, გეგმების და გამოკვლევების მიწოდების ჩათვლით

71.12.2 მომსახურება სამშენებლო პროექტების მართვით

71.12.20 მომსახურება სამშენებლო პროექტების მართვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის დავალებით სამშენებლო პროექტის წარმატებულ შესრულებაზე საერთო პასუხისმგებლობის აღებით, დაფინანსების და დაპროექტების ორგანიზების, საკონკურსო განაცხადების შეტანის და მმართველობითი და საკონტროლო ფუნქციების შესრულების ჩათვლით
- ინჟინრების ან არქიტექტორების მიერ პროექტების მართვის მომსახურებას

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საერთო სამშენებლო სამუშაოებს, იხ. განყოფილებები 41, 42

71.12.3 გეოლოგიური და გეოფიზიკური და ურთიერთდაკავშირებული საძიებო და საკონსულტაციო მომსახურება

71.12.31 გეოლოგიური და გეოფიზიკური საკონსულტაციო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- გეოლოგიურ საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია მინერალური ნედლეულის, ნავთობის და ბუნებრივი აირის და მიწისქვეშა წყლების მარაგების ადგილმდებარეობის შესწავლის საკითხებთან, მიწის წიაღის, მთის ქანების წარმონაქმნების და სტრუქტურების გამოკვლევის გზით
- კონსულტირებას მინერალების, ნავთობის და ბუნებრივი აირის მარაგების კვლევის და დამუშავების საკითხებზე
- საკონსულტაციო მომსახურებას გეოლოგიური, გეოფიზიკური და გეოქიმიური ანომალიების შეფასების საკითხებზე.
- საკონსულტაციო მომსახურებას გეოლოგიური რუკების შედგენით ან ძიებით ზედაპირზე ან მიწის ქვეშ

71.12.32 გეოფიზიკური მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- მომსახურებას ზედაპირისქვეშა ფორმაციებზე ინფორმაციის მიწოდებით შემდეგი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით:
  - სეისმოგრაფიული, გრავიმეტრიული, მაგნიტომეტრიული მეთოდების
  - ზედაპირისქვეშა ფენების გამოკვლევის სხვა მეთოდების

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სადაზვერვო ბურღვას და ბურღვით სამუშაოებს, იხ. 43.13.10

71.12.33 მომსახურება სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვით და შეფასებით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვებასთან დაკავშირებულ სადაზვერვო ბურღვას, იხ. 09.10.11
- სადაზვერვო ბურღვას და ბურღვით სამუშაოებს, იხ. 43.13.10

71.12.34 მომსახურება დედამიწის ზედაპირის შესწავლით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას დედამიწის ზედაპირის ნაკვეთების ფორმის, განლაგების და/ან საზღვრების შესახებ სხვადასხვა მეთოდით ინფორმაციის შეგროვებით, შემოვლის, ფოტოგრამმეტრიული და ჰიდროგრაფიული გამოკვლევების ჩათვლით, რუკების შედგენის მიზნით
- მონაცემთა შეგროვებას ხელოვნური თანამგზავრების დახმარებით
- მიწასაზომ და ტოპოგრაფიულ მომსახურებას (მაგალითად, საკუთრების მონიშვნა, საზღვრების მონიშვნა)

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას აეროფოტოგადაღებით, იხ. 74.20.24

71.12.35 მომსახურება კარტოგრაფიის დარგში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას რუკების შედგენით, რომელიც შეიცავს ყველა სახის რუკების შექმნას და განახლებას (მაგალითად, საგზაო, საკადასტრო, ტოპოგრაფიული, პლანიმეტრიული, ჰიდროგრაფიული) ადგილის შესწავლის შედეგების, სხვა რუკების და ინფორმაციის სხვა წყაროების გამოყენებით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- რუკების და ატლასების გამოცემას ნაბეჭდი ფორმით, იხ. 58.11.15 და 58.11.16

71.2 მომსახურება ტექნიკური გამოცდებით და ანალიზით

71.20 მომსახურება ტექნიკური გამოცდებით და ანალიზით

71.20.1 მომსახურება ტექნიკური გამოცდებით და ანალიზით

71.20.11 მომსახურება ნივთიერებების შემადგენლობის და სიწმინდის გამოცდებით და ანალიზით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სხვადასხვა სუბსტანციების, როგორიცაა ჰაერი, წყალი, ნარჩენები (საყოფაცხოვრებო და სამრეწველო), სათბობი, ლითონები, ნიადაგი, მინერალები, კვების პროდუქტები და ქიმიკატები, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების გამოცდებით და ანალიზით
- მომსახურებას გამოცდებით და ანალიზით ურთიერთდაკავშირებულ მეცნიერების ურთიერთდაკავშირებულ დარგებში, როგორიცაა მიკრობიოლოგია, ბიოქიმია, ბაქტერიოლოგია და ა.შ.

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ვეტერინარულ მოვლასა და კონტროლთან დაკავშირებული გამოცდების ჩატარებით, იხ. 75.00.1
- მომსახურებას სამედიცინო და სტომატოლოგიური ანალიზებით, იხ. 86.90.15

71.20.12 მომსახურება ფიზიკური თვისებების გამოცდით და ანალიზით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სხვადასხვა მასალების, როგორიცაა ლითონები, პლასტმასები, ტექსტილი, მერქანი, მინა, ბეტონი და სხვა მასალები ფიზიკური თვისებების გამოცდით და ანალიზით, როგორიცაა სიმტკიცე, ჭედადობა, ელექტროგამტარობა და რადიოაქტიურობა
- მასალების გამოცდებს გაჭიმვაზე, სისალეზე, დარტყმის წინაღობაზე და მაღალ ტემპერატურაზე გამძლეობაზე და მდგრადობაზე

71.20.13 მომსახურება ინტეგრირებული მექანიკური და ელექტრული სისტემების გამოცდებით და ანალიზით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მანქანების, ძრავების, ავტომობილების, დაზგების, ხელსაწყოების, კავშირგაბმულობის მოწყობილობების და მექანიკური და ელექტრული კომპონენტების შემცველი სხვა კომპლექსური მოწყობილობების გამოცდებით და ანალიზით

გამოცდების და ანალიზის შედეგები, როგორც წესი, გამოისახება შესასწავლი ობიექტების ფუნქციონირების და ქცევის მახასიათებლების შეფასებების სახით. გამოცდები შეიძლება წარმოებდეს ხომალდების, საფრენი აპარატების, კაშხლების და ა.შ. მაკეტების და მოდელების გამოყენებით

71.20.14 მომსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მსუბუქი ავტომობილების, მოტოციკლების, ავტობუსების, სატვირთო ავტომობილების და სხვა ავტოსატრანსორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური დათვალიერებით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების და მოტოციკლების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, იხ. 45.20
- მომსახურებას ზარალის შეფასებით, იხ. 66.21.10

71.20.19 სხვა მომსახურება ტექნიკური გამოცდებით და ანალიზით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ტექნიკური ან მეცნიერული ხასიათის გამოცდებით და შეფასებით, რომლებიც არ ცვლიან შესასწავლ ობიექტს
- მანქანების ნაწილების და კონსტრუქციების რადიოგრაფიულ, მაგნიტურ და ულტრაბგერით გამოცდებს დეფექტების გამოსავლენად. ეს გამოცდები ხშირად ტარდება ადგილზე.
- ხომალდების, საფრენი აპარატების, კაშხლების და ა.შ. სერტიფიცირებას
- ხელოვნების ნიმუშების სერტფიცირებას და ნამდვილობის დადგენას
- შენადუღი ნაკერების რადიოლოგიურ შემოწმებას
- მომსახურებას პოლიციური ლაბორატორიების მიერ გაწეული ანალიზით

- სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველ სხვა მომსახურებას გამოცდებით და ანალიზით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას ზარალის შეფასებით სადაზღვევო კომპანიების ინტერესებში, იხ. 66.21.10
- მომსახურებას ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებით, იხ. 71.20.14
- მომსახურებას სამედიცინო ანალიზებით და გამოკვლევებით, იხ. 86.90.15

72 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით

მოცემული განყოფილება არ შეიცავს:
- მომსახურებას ბაზრის კონიუნქტურის გამოკვლევით, იხ. 73.20.11

72.1 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში

72.11 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ბიოტექნოლოგიაში

72.11.1 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმეტული დამუშავებებით ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის და სხვა ბიოტექნოლოგიებში

მოცემული კატეგორია შეიცავს მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ცოცხალი ორგანიზმების და აგრეთვე მათი ნაწილების, პროდუქტების ან მოდელების მეცნიერების და ტექნოლოგიების გამოყენებით შესასწავლად ცოდნის შეძენის, ნაკეთობების წარმოების და მომსახურების მიწოდების მიზნით ცოცხალი ან არაცოცხალი ნივთიერებების შესასასწავლად

ეს შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით დნმ-ის (კოდირების) სფეროში
გენომიკა, ფარმაკოგენეტიკა, გენური ზონდირება, დნმ-ის სეკვენირება/სინთეზი/ამპლიფიცირება, გენური ინჟინერია
- ცილებთან და მოლეკულებთან (ფუნქციურ ბლოკებთან) დაკავშირებულ მეცნიერულ კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს:
    - ცილების/პეპტიდების სეკვენირება/სინთეზი, ლიპიდების/ცილების/გლიკოციების ინჟინერია, პროტეომიკა, ჰორმონები და ზრდის ფაქტორები, უჯრედოვანი რეცეპტორები/სასიგნალო სისტემები/ფერომონები
- მეცნიერულ კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს უჯრედების და ქსოვილების კულტივირების და ინჟინერიის დარგში:
უჯრედების და ქსოვილების კულტივირება, ქსოვილების ინჟინერია, ჰიბრიდიზაცია, უჯრედების შერწყმა, ვაქცინები/იმუნური სტიმულატორები, მანიპულაციები ემბრიონზე
- მეცნიერულ კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს პროცესული ბიოტექნოლოგიის დარგში:

- ბიორეაქტორების გამოყენება, ფერმენტაცია, ბიოდამუშავება, ბიოგამოტუტვა, ბიოდელსულფურიზაცია, ბიოპულპირება (მასალების გარდაქმნა ბოჭკოვან მასაში), ბიოფილტრაცია, ბიორემედიაცია

- სუბუჯრედოვანი ორგანიზმების მეცნიერულ კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს:

- გენური თერაპია, ვირუსული ვექტორები

72.11.11 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ჯანმრთელობის ბიოტექნოლოგიაში

72.11.12 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით გარემოს ბიოტექნოლოგიაში და სამრეწველო ბიოტექნოლოგიაში

72.11.13 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმეტული დამუშავებებით სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიაში

72.11.2 მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების ორიგინალური ნაშრომები ბიოტექნოლოგიაში

72.11.20 მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების ორიგინალური ნაშრომები ბიოტექნოლოგიაში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მეცნიერულ ორიგინალურ ნაშრომებს ბიოტექნოლოგიაში, ანუ გამოგონებების, პროდუქტების და პროცესების იდეები, გეგმები, პროექტები, ფორმულები, რომლებიც შეიძლება დაცული და ლიცენზირებული იქნეს როგორც სამრეწველო საკუთრება, საწარმოო ან კომერციული საიდუმლოებები, პატენტები და ა.შ.

მოცემული ორიგინალური ნამუშევრები იქმნება საკუთარ ხარჯზე, ანუ მათი წარმოება განკუთვნილია გასაყიდად კონტრაქტის ან წინასწარ ცნობილი მყიდველის არსებობის გარეშე

72.19 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სხვა საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში

72.19.1 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

72.19.11 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით მათემატიკაში

72.19.12 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში

72.19.13 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ფიზიკაში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით თბოფიზიკის, ელექტროფიზიკის, ელექტრომაგნეტიზმის, ასტრონომიის დარგში და ა.შ.

72.19.14 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ქიმიაში

72.19.15 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით დედამიწის შემსწავლელ და მასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით მეცნიერებებში

72.19.16 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ბიოლოგიურ მეცნიერებებში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ცხოველების და მცენარეების, მიკროორგანიზმების და ა.შ. ფიზიოლოგიაში და ეკოლოგიაში

72.19.19 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერმენტული დამუშავებებით სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

მოცემული ქვეკატეგორია აგრეთვე შეიცავს:
- დისციპლინათშორის მეცნიერულ კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს, უპირატესად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

72.19.2 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ტექნიკურ მეცნიერებებში და ტექნოლოგიებში, ბიოტექნოლოგიის გარდა

72.19.21 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ნანოტექნოლოგიებში

72.19.29 სხვა მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ესქპერიმენტული დამუშავებებით ტექნიკურ მეცნიერებებში და ტექნოლოგიებში, ბიოტექნოლოგიის გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ლითონების ჩამოსხმის და დამუშავების, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, გემთმშენებლობის, საავიაციო ტექნიკის, სამოქალაქო დაპროექტების, მშენებლობის და ა.შ. გამოყენებითი მეცნიერებების და ტექნოლოგიების დარგში

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით გარემოს ბიოტექნოლოგიაში და სამრეწველო ბიოტექნოლოგიაში, იხ. 72.11.12

72.19.3 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სამედიცინო მეცნიერებებში

72.19.30 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სამედიცინო მეცნიერებებში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით დაავადებების მკურნალობის, პროფილაქტიკური ჰიგიენის, ფარმაციის დარგში და ა.შ.

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მეცნიერულ კვლევებს და ექსპერიმენტულ დამუშავებებს ჯანმრთელობის ბიოტექნოლოგიაში, იხ. 72.11.11

72.19.4 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებში

72.19.40 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით აგროტექნიკის, მეხილეობის, მეტყევეობის, მეცხოველეობის, თევზის მეურნეობის დარგში და ა.შ.

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სასოფლო-სამეურნეო ბიოტექნოლოგიაში, იხ. 72.11.13

72.19.5 მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების ორიგინალური ნაშრომები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში, ბიოტექნოლოგიის გარდა

72.19.50 მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების ორიგინალური ნაშრომები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში, ბიოტექნოლოგიის გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მეცნიერულ ორიგინალურ ნამუშევრებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების დარგში, ბიოტექნოლოგიის გარდა, ანუ გამოგონებების, პროდუქტების და პროცესების იდეებს, გეგმებს, პროექტებს, ფორმულებს, რომლებიც შეიძლება იქნას დაცული და ლიცენზირებული როგორც სამრეწველო საკუთრება, საწარმოო ან კომერციული საიდუმლოებები, პატენტები და ა.შ.

მოცემული ორიგინალური სამუშაოები იქმნება საკუთარ ხარჯზე, ანუ მათი წარმოება განკუთვნილია გასაყიდად კონტრაქტის ან წინასწარ ცნობილი მყიდველის არსებობის გარეშე

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების ორიგინალურ ნამუშევრებს ბიოტექნოლოგიაში, იხ. 72.11.20

72.2 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

72.20 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

72.20.1 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სოციალურ მეცნიერებებში

72.20.11 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ეკონომიკაში და ბიზნესში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ეკონომიკურ თეორიაში, ბიზნესის მართვაში, ფინანსებში, სტატისტიკაში და ა.შ.

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:

- მომსახურებას ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით, იხ. 73.20.11

72.20.12 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ფსიქოლოგიაში

72.20.13 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით იურისპრუდენციაში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით საჯარო სამართალში, სამოქალაქო სამართალში და ა.შ.

72.20.19 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სხვა სოციალურ მეცნიერებებში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში, დემოგრაფიაში, გეოგრაფიაში (მოსახლეობის, ეკონომიკურ და სოციალურ), პოლიტიკურ მეცნიერებებში, სოციოლოგიაში და ა.შ.

72.20.2 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

72.20.21 მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ენათმეცნიერებაში და ლიტერატურათმცოდნეობაში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ძველი და თანამედროვე ენების და ლიტერატურის მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით

72.20.29 სხვა მომსახურება მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას მეცნიერული კვლევებით და ექსპერიმენტული დამუშავებებით ისტორიაში, ფილოსოფიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, რელიგიათმცოდნეობაში, თეოლოგიაში და ა.შ.

72.20.3 მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების ორიგინალური ნამუშევრები სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

72.20.30 მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული დამუშავებების ორიგინალური ნამუშევრები სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მეცნიერულ ორიგინალურ ნამუშევრებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, გამოგონებების ანუ პროდუქტების და პროცესების იდეებს, გეგმებს პროექტებს ფორმულებს, რომლებიც შეიძლება დაცული და ლიცენზირებული იქნას, როგორც სამრეწველო საკუთრება, საწარმოო ან კომერციული საიდუმლოებები, პატენტები და ა.შ.

მოცემული ორიგინალური სამუშაოები იქმნება საკუთარ ხარჯზე, ანუ მათი წარმოება განკუთვნილია გასაყიდად კონტრაქტის და წინასწარ ცნობილი მყიდველის არსებობის გარეშე

73 სარეკლამო მომსახურება და მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით

73.1 სარეკლამო მომსახურება

73.11 სარეკლამო სააგენტოების მომსახურება

73.11.1 სარეკლამო სააგენტოების მომსახურება

73.11.11 სარეკლამო მომსახურების სრული კომპლექტი

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- სარეკლამო მომსახურების სრული ასორტიმენტის მიწოდებას რეკლამის მომზადების, შექმნის და განთავსების მომსახურების ჩათვლით, როგორიცაა:

- ინფორმაციული საშუალებების შერჩევა რეკლამის განსათავსებლად
- სარეკლამო განცხადებების, ილუსტრაციების, პლაკატების და ა.შ. გაფორმება
- სარეკლამო რგოლების სცენარების დაწერა, მასმედიის საშუალებებში განთავსება, სარეკლამო ნიმუშების ან ფილმების მომზადებას (მათი წარმოების გარეშე)
- პირდაპირი მარკეტინგის სარეკლამო კამპანიების ან პირდაპირი საფოსტო რეკლამის კამპანიების ორგანიზება

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- სარეკლამო რგოლების წარმოებას და განთავსებას გასაღების სტიმულირების ან რეკლამირებისთვის, იხ. 59.11.12
- მომსახურებას საზოგადოებასთან ურთიერთობებით, იხ. 70.21.10
- მომსახურებას ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით, იხ. 73.20.11
- რეკლამასთან დაკავშირებულ ფოტოგრაფიულ მომსახურებას, იხ. 74.20.22

73.11.12 მომსახურება პირდაპირი მარკეტინგით და პირდაპირი საფოსტო რეკლამით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- პირდაპირი მარკეტინგის სარეკლამო კამპანიების შემუშავებას და ორგანიზებას, ანუ სარეკლამო და მარკეტინგული გზავნილების მომხმარებლამდე პირდაპირი დაგზავნის ორგანიზებას, და არა მათ გადაცემას მასმედიის საშუალებით

შეიცავს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა პირდაპირი საფოსტო რეკლამა და ტელემარკეტინგი

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საფოსტო საქმიანობას, იხ. 82.29 (ინახოს, როგორ არის 72.29-ში)

73.11.13 მომსახურება სარეკლამო დიზაინის და კონცეფციის შემუშავებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ძირითადი იდეის შექმნას სარეკლამო განცხადებისთვის, რეკლამისთვის სიტყვების დაწერას
- ნაბეჭდი სარეკლამო განცხადებების, ილუსტრაციების, პლაკატების გეგმების შედგენას
- სცენარების დაწერას სარეკლამო ფილმებისთვის

73.11.19 სხვა სარეკლამო მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საჰერო სარეკლამო მომსახურებას

- მომსახურებას უფასო ნიმუშების და სხვა სარეკლამო მასალების მიწოდებით
- სარეკლამო მომსახურებას გაყიდვის ადგილზე დემონსტრირებით და პრეზენტაციით
- მომსახურებას გასაღების სტიმულირებით (თუ არ არსებობს შეკვეთები)

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას სავაჭრო სარეკლამო მასალების გამოქვეყნებით, იხ. 58.19.15
- სამოდელო სააგენტოების მომსახურებას, იხ. 78.10.12
- სარეკლამო მომსახურებას ფოსტით, იხ. 82.19.12
- ტელემარკეტინგის მომსახურებას, იხ. 82.20.10
- მომსახურებას შეკრებების და გამოფენების ორგანიზებით, იხ. 82.30.1

73.12 მომსახურება მასმედიაში წარმომადგენლობით

73.12.1 სარეკლამო ადგილის ან დროის გაყიდვა გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული კატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სარეკლამო ადგილის ან დროის გაყიდვით ან ლიზინგით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე
- სააგენტოების მომსახურებას მასმედიის საშუალებებისგან დროის შესყიდვით რეკლამის შემკვეთის ან სარეკლამო სააგენტოების დავალებით

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას საზოგადოებასთან ურთიერთობებით და კომუნიკაციებით, იხ. 70.21.10

73.12.11 მომსახურება სარეკლამო ადგილის გაყიდვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე მასმედიის ბეჭდვით საშუალებებში

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მასმედიის ბეჭდვით საშუალებებში გამომცემლების მიერ სარეკლამო ადგილის გაყიდვით, იხ. განყოფილება 58

73.12.12 მომსახურება სარეკლამო ადგილის ან დროის გაყიდვით ტელევიზიაში/რადიოში გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- ტელევიზიაში/რადიოში სამაუწყებლო კომპანიების მიერ სარეკლამო ადგილის გაყიდვას, იხ. 60.10.30, 60.20.40

73.12.13 მომსახურება სარეკლამო დროის ან ადგილის გაყიდვით ინტერნეტში გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

73.12.14 მომსახურება ღონისძიებებთან დაკავშირებული რეკლამის გაყიდვით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სპორტული ღონისძიებებისთვის, სტადიონებისთვის და ა.შ. დასახელებაზე უფლებების გაყიდვით

73.12.19 მომსახურებას სხვა სარეკლამო ადგილის ან დროის გაყიდვით გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას სარეკლამო ადგილის ან დროის გაყიდვით ბილბორდებზე, შენობებზე, ავტომანქანებზე და ა.შ.

- მომსახურებას სარეკლამო ადგილის ან დროის გაყიდვით ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებში, ინტერაქტიურის გარდა
- მომსახურებას სარეკლამო დროის გაყიდვით ვიდეო- და კინოფილმებში (საქონლის განთავსება)

73.12.2 სარეკლამო ადგილის ან დროის გადაყიდვა გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

73.12.20 სარეკლამო ადგილის ან დროის გადაყიდვა გასამრჯელოს ან ხელშეკრულების საფუძველზე

73.2 მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის და საზოგადოებრივი აზრის შესწავლით

73.20 მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით და საზოგადოებრივი აზრის შესწავლით

73.20.1 მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით და საზოგადოებრივი აზრის შესწავლით

მოცემული კატეგორია შეიცავს:
- ბაზრის მდგომარეობის ანალიზს, კონკურენტების პოზიციების და მომხმარებლების ქცევის შესწავლას
- მეცნიერული ნაშრომების, სტატისტიკური მონაცემების, ეკონომეტრიკული მოდელების, გამოკვლევების შედეგების და ა.შ. გამოყენებას

მოცემული კატეგორია არ შეიცავს:
- სარეკლამო მომსახურებას, იხ. 73.1
- მომსახურებას საზოგადოებრივი აზრის შესწავლით, იხ. 73.20.20

73.20.11 მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით: ხარისხობრივი გამოკვლევები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- ერთი ან რამდენიმე პირის (ვრცელ) გამოკითხვას პასუხების სრული ფორმით მისაღებად, რომლებიც არ არის განკუთვნილი ინტერვალების მიხედვით დასაჯგუფებლად – ხშირად დაფუძნებული კონკრეტული სიტუაციის გამოკვლევებზე

73.20.12 მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით: რაოდენობრივი სპეციალური გამოკვლევები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მხოლოდ ერთხელ ჩასატარებელ გამოკითხვებს, რომლებშიც შესაძლებელია პასუხების დაჯგუფება ინტერვალების მიხედვით

73.20.13 მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით: რაოდენობრივი უწყვეტი და რეგულარული გამოკვლევები

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- რეგულარულ საფუძველზე ჩასატარებელ გამოკვლევებს, რომლებშიც შესაძლებელია პასუხების დაჯგუფება ინტერვალების მიხედვით

73.20.14 მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით, გამოკითხვების გარდა

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- ბაზრის კონიუნქტურის შესწავლას გამოკითხვების ჩატარების გარეშე სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით

73.20.19 სხვა მომსახურება ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით

73.20.2 მომსახურება საზოგადოებრივი აზრის შესწავლით

73.20.20 მომსახურება საზოგადოებრივი აზრის შესწავლით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას კვლევების ჩატარებით საზოგადოებრივი აზრის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პრობლემების შესახებ

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მსგავს მომსახურებას კვლევების ჩატარებით მომხმარებელთა დამოკიდებულების და სურვილების შესწავლის მიზნით, იხ. 73.20.1

74 სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური მომსახურება

74.1 მომსახურება სპეციალიზებული დიზაინით

74.10 მომსახურება სპეციალიზებული დიზაინით

74.10.1 მომსახურება ინტერიერის, სამრეწველო და სხვა სპეციალიზებული დიზაინით

74.10.11 მომსახურება ინტერიერის დიზაინით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ინტერიერის დიზაინით, როგორიცაა ინტერიერის შიდა სივრცის დაგეგმვა და დაპროექტება ადამიანების ფიზიკური, ესთეტიკური და ფუნქციური მოთხოვნილებების გათვალისწინებით
- ესკიზების მომზადებას ინტერიერების გასაფორმებლად
- ინტერიერების გაფორმებას

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- მომსახურებას არქიტექტურული დიზაინით, იხ. 71.11

74.10.12 მომსახურება სამრეწველო დიზაინით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- დიზაინერულ მომსახურებას სამრეწველო პროდუქტებისთვის, ანუ დიზაინის და სპეციფიკაციების შექმნას და სრულყოფას პროდუქტების გამოყენების, ღირებულების და იერსახის ოპტიმიზაციის მიზნით, პროდუქტის, მასალების, კონსტრუქციის, მექანიზმის, ფორმის, ფერის და ზედაპირის დამუშავების დადგენის ჩათვლით, ადამიანური მახასიათებლების და მოთხოვნილებების, უსაფრთხოების მოთხოვნების, მომხმარებლისთვის მიმზიდველობის გათვალისწინებით და პროდუქტების გავრცელების, გამოყენების და ტექნიკური მომსახურების ეფექტურობის ჩათვლით

მოცემული ქვეკატეგორია არ შეიცავს:
- საინჟინრო მომსახურებას სამრეწველო პროდუქტების დიზაინისთვის, იხ. 71.12.17

74.10.19 სხვა მომსახურება სპეციალიზებული დიზაინით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:

- მომსახურებას სხვადასხვა პროდუქციის ნახაზების შექმნით და ნიმუშების მომზადებით ესთეტიკური მოსაზრებების ტექნიკურ და სხვა მოთხოვნებთან შეთანხმების გზით, როგორიცაა:
    - ავეჯის დიზაინი
    - ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და საიუველირო ნაკეთობების დიზაინი
    - სხვა სამომხმარებლო საქონლის ესთეტიკური დიზაინი
- მომსახურებას შეფუთვის დიზაინით
- მოცულობითი მოდელების წარმოებას
- მომსახურებას გრაფიკული დიზაინით

74.10.2 ორიგინალური ნამუშევრები დიზაინის სფეროში

74.10.20 ორიგინალური ნამუშევრები დიზაინის სფეროში

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- საკუთარ ხარჯზე შემუშავებულ ორიგინალურ კონცეფციებს დიზაინის სფეროში:
    - სამრეწველო პროდუქტების დიზაინს
    - ესთეტიკურ დიზაინს
    - გრაფიკულ დიზაინს

ინტელექტუალური საკუთრების მოცემული პროდუქტები ძირითადად იწარმოება სხვებისთვის ინფორმაციის გაყიდვის ან ლიცენზირების სურვილით.

74.2 ფოტოგრაფიული მომსახურება

74.20 ფოტოგრაფიული მომსახურება

74.20.1 ფოტოფირფიტები და ფოტოფირები, კინემატოგრაფიულის გარდა, ექსპონირებული

74.20.11 ფოტოფირფიტები და ფოტოფირები, ექსპონირებული, მაგრამ გაუმჟღავნებელი

74.20.12 ფოტოფირფიტები და ფოტოფირები, ექსპონირებული და გამჟღავნებული, პოლიგრაფიული აღწარმოებისთვის

74.20.19 სხვა ფოტოფირფიტები და ფოტოფირები, ექსპონირებული და გამჟღავნებული

74.20.2 სპეციალიზებული ფოტოგრაფიული მომსახურება

მოცემული კატეგორია აგრეთვე შეიცავს:
- ფოტოჟურნალისტების მომსახურებას

74.20.21 მომსახურება პორტრეტული ფოტოგრაფიით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ადამიანების ან სხვა ობიექტების ფოტოსურათების დამზადებით სტუდიაში ან სხვა ადგილებში, როგორიცაა კლიენტების ოფისები ან სახლები. როგორც წესი, ამ მომსახურებაში შედის შემდეგი სახის ფოტოსურათების გამჟღავნება და ბეჭდვა შემკვეთის მოთხოვნების შესაბამისად:
    - პასპორტის ან პირადობის მოწმობის ფოტოსურათების
    - ჩვილ ბავშვთა და ბავშვების პორტრეტების

- ოჯახური ან სამხედრო პორტრეტების
- სტუდიური ფოტომოდელების
- კორპორაციული სურათების

74.20.22 სარეკლამო და მსგავსი ფოტოგრაფიული მომსახურება

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
- მომსახურებას ფოტოგადაღებით:
  - საქონლის, მრეწველობის პროდუქტების
  - მოდური და სხვა ტანსაცმლის
  - მანქანების და მოწყობილობების, შენობების და ნაგებობების
  - ადამიანების და სხვა ობიექტების საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით
- მომსახურებას ფოტოგრაფირებით:
  - სარეკლამო ვიტრინებისთვის, ბროშურებისთვის, საგაზეთო განცხადებებისთვის
  - კატალოგებისთვის

74.20.23 მომსახურება მოვლენების ფოტოგადაღებით და ვიდეოგადაღებით

მოცემული ქვეკატეგორია შეიცავს:
